აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№93 (25.117) 6 - 12 ოქტომბერი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 14-19 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი. ხვალ ღამით მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

ბათუმი ევროპის ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმმა ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ ლონისძიებას „World Travel Aw-ards“-ის საუბილეო, ევროპის გალა ცერემონიას წელს პირველად უმასპინძლა

ევროპის გალა ცერემონიას ბათუმში 24 ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის, მედიისა და ტურიზმის სამთავრობო უწყებების 300-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. საზოგადოებას სიტყვით პირველმა მიმართა აჭარის მთავ-რობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ. მან მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების გალა ცერემონიის მასპინძლობის მნიშვნელობასა და ტურიზმის დინამიკაზე ისაუბრა. „განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ წელს აღინიშნება მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების 30 წლის იუბილე, რაც ამ ღონისძიებას კიდევ უფრო სადღესასწაულოს და ღირსშესანიშნავს ხდის. საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. მისი უნიკალური ანბანი, კულტურა, ღვინის დაყენების ტრადიცია და გამორჩეული ბუნება აღიარებულია იუნესკოს მიერ და დროში გამოგზაურებთ. ბოლო მონაცემებით, 2023 წლის 8 თვის განმავლობაში აჭარის რეგიონში ვიზიტების რაოდენობა 2 მილიონს აჭარბებს, რაც 2022 წელთან შედარებით 46-პროცენტიან, ხოლო 2019 წელთან შედარებით 20-პროცენტიან ზრდაზე მიუთითებს. ჩვენი მიზანია მომავალი წლისთვის - ორმაგი, ხოლო 2025 წლისთვის სამმაგი მაჩვენებელი გვქონდეს. გვსურს მოვაწყოთ ინფრასტრუქტურა ექვსი მილიონი ტურისტისთვის, რაც საკმაოდ ამბიციური გეგმაა, თუმცა მზად ვართ, გულდასმით შევასრულოთ გეგმის ყველა ეტაპი, რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგებს. ჩვენი გუნდი მუდმივად მუშაობს ტურისტული ინდუსტრიის გამრავალფეროვნებაზე, რათა ბათუმი, აჭარა გახდეს 4 სეზონის მიმართულება“, - განაცხადა რეგიონის პირველმა პირმა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმმა, აჭარამ World Travel Awards-ის სპეციალური პრიზი მიიღო, ის ევროპის ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა, ხოლო ბათუმის უნიკალური ბოტანიკური ბაღი - ევროპის საუკეთესო ბოტანიკურ ბაღად.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ – ორდღიან საერთაშორისო ფორუმზე

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ქალაქების წინაშე არსებული გამოწვევების ეფექტურად გადაჭრისა და კრიზისის მართვის გზების შემოთავაზება, ინოვაციური მიდგომებისა და სტრატეგიული თანამშრომლობის დანერგვა, რაც არსებულ ურბანულ სივრცეებს უფრო მწვანე, ჭკვიან და მდგრად გარემოდ გარდაქმნის, - ამის შესახებ საუბრობენ ბათუმში, ორდღიან ფორუმზე, რომელიც დღეს გაიხსნა

ურბანული ფორუმი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა გახსნა. მასში 5 ქვეყნის 200-ზე მეტი მონაწილეა ჩართული. ფორუმის ორგანიზატორები არიან ევროკომისიის გენერალური დირექტორატი სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში, გაეროს განვითარების პროგრამა და პარტნიორი ორგანიზაციები.

ფორუმის მიზანია ქალაქების განვითარების ახალი გზების გამონახვა თანამედროვეობის გამოწვევების გათვალისწინებით. მონაწილეები განიხილავენ, როგორ უნდა მოგვარდეს კომპლექსური მუნიციპალური საკითხები მწვანე, ინკლუზიური და მედეგი ქალაქების შექმნის გზით და რა შესაძლებლობებს ქმნის კერძო-საჯარო პარტნიორობა და ფინანსირება ქალაქების მდგრადი ზრდისთვის და ინოვაციების განვითარებისთვის. „დღევანდელი ფორუმი მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი, ასევე რეგიონული ქალაქებისათვის. ბათუმსა და სხვა ქალაქებს აქვთ რიგი გამოწვევები ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. ფორუმი ემსახურება გამოცდილების გაზიარებას საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, სამომავლო გეგმების დასახვას და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას მდგრადი ურბანული განვითარების ნაწილში“, - გვითხრა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

ორი დღის განმავლობაში, ფორუმის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებრიობის წინაშე უმაღლესი რანგის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოვლენ. ფორუმის მუშაობაში ჩაერთნენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლები და საქართველოს, მოლდოვას, ჩრდილო მაკედონიისა და უკრაინის დელეგატები.

- დღევანდელი ფორუმი ეძღვნება ჩვენი მუნიციპალიტეტების და ადგილობრივი თვითმმართველობების უფრო მეტად გაძლიერებას და მათი მზაობის გაზრდას მომავალი გამოწვევების წინაშე, რაც გულისხმობს როგორც გარემოსთან დაკავშირებულ რისკებს, ისე ურბანიზაციის კუთხით გაზრდილ მოთხოვნებს. ფორუმის საბოლოო მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობაა. პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ აერთიანებს 400-ზე მეტ მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთის პარტნიორებში, რომლის მონაწილეები ამ ეტაპისთვის ბათუმში არიან შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. სწორედ ისინი მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებაზე იმისათვის, რომ უფრო მედეგი გახდეს მუნიციპალიტეტები ახალი გამოწვევების წინაშე, კრიზისის დროს, სხვადასხვა პრობლემური სიტუაციებისას. ჩვენ ვნახეთ პანდემია, ახლა უკრაინაში მიმდინარეობს ომი, დევნილებთან დაკავშირებული უამრავი გამოწვევაა, მათ შორის მეზობელ ქვეყნებში. სწორედ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ აღნიშნულ ფორუმზე, მათ შორის ეკონომიკური ზრდის ახალ პერსპექტივებსა და განვითარების ახალ ტრაექტორიებზე. მოხდება როგორც გამოცდილების გაზიარება, ასევე, ახალი ინფორმაციის მიღება და ახალი მიდგომების შესახებ ცოდნის გაღრმავება, თანამშრომლობის წახალისება, - გვითხრა პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ხელმძღვანელმა საქართველოში თიკო ტყეშელაშვილმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ 2017 წლიდან ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება. 2021 წლიდან ამ ინიციატივის მართვას უძღვება გაეროს განვითარების პროგრამა ევროკავშირთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

როგორ დასრულდება კონფლიქტი პრეზიდენტსა და მთავრობას შორის?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის შესახებ კონსტიტუციურ წარდგინებას საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლისგან შემდგარი პლენუმი რამდენიმე დღეა განიხილავს. სხდომებს თავად პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ ესწრება, თუმცა მის ინტერესებს იურისტები თამარ ჩუგოშვილი და მაია კოპალეიშვილი იცავენ. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა უნდა დაადგინოს, დაარღვია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუცია, როდესაც მთავრობის თანხმობის გარეშე საფრანგეთის, გერმანიისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტებს შეხვდა საზღვარგარეთ. საპარლამენტო უმრავლესობის 80 დეპუტატის სახელით, ვინც პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყო, სხდომას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ასევე, პარტიის წევრები ანრი ოხანაშვილი, გიორგი კახიანი და თენგიზ შარმანაშვილი ესწრებიან. ირაკლი კობახიძის განცხადებით, კონსტიტუციაში ცხადად წერია, ვის რაზე და ვის წინაშე მოეთხოვება ანგარიში. მისივე განმარტებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი ვალდებულია, იმოქმედოს კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისად. ირაკლი კობახიძემ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე, რაც, მისი მტკიცებით, პრეზიდენტის ვიზიტების არაკონსტიტუციურობას ადასტურებს.

„ეს არის ძალიან მარტივი კაზუსი. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი ადგენს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობების სფეროში. ამ მუხლში წერია, რომ პრეზიდენტს მხოლოდ მთავრობის სახელით შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება და მოლაპარაკებების წარმოება. პრეზიდენტმა ითხოვა თანხმობა, არ მიუღია, მაინც განახორციელა ვიზიტი, რითაც დაირღვა კონსტიტუცია. ამ მოცემულ შემთხვევაში უფრო მარტივადაა საქმე, პრეზიდენტმა თავადვე აღიარა ვიზიტების არაკონსტიტუციურობა. კერძოდ, მან თავად ითხოვა თანხმობა ვიზიტზე. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ შესაბამისი ვიზიტის განხორციელება საჭიროებდა თანხმობას, შეგნებული ჰქონდა და მას შემდეგ, რაც თანხმობა ვერ მიიღო, მაინც განახორციელა ვიზიტი. მას რომ ჰქონოდა იმის რწმენა, რომ შესაბამის ვიზიტს თანხმობა არ სჭირდებოდა, არც მიმართავდა მთავრობას თანხმობის თხოვნით. ასევე, მან მოგვიანებით განაცხადა, რომ მისი ვიზიტები ბიუჯეტიდან არ იყო დაფინანსებული და კერძო თანხებით გაემგზავრა საზღვარგარეთ, რაც მორიგი აღიარებაა. თუ ვიზიტი ლეგიტიმური იყო, რატომ არ დააფინანსა ბიუჯეტიდან? ეს იყო პირდაპირი აღიარება, რომ ვიზიტები იყო არალეგიტიმური და ამიტომ მოუწია მას არა ბიუჯეტის, არამედ საკუთარი ჯიბის ფულის დახარჯვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ ბიუჯეტის ფული დაეხარჯა, ეს კონსტიტუციის დარღვევასთან ერთად, სისხლის სამართლის დანაშაულიც იქნებოდა, რადგან ეს, კანონმდებლობით, არამიზნობრივი ხარჯია. როდესაც იმპიჩმენტზეა საუბარი, შესაძლოა, კონკრეტული დეპუტატების იმედი გქონდეს, რომ მხარს არ დაუჭერენ შენს გადაყენებას, მაგრამ თუ დანაშაულს სჩადიხარ, პოლიტიკოსების იმედზე ვერ იქნები. სხვადასხვა ფორმით პირდაპირ აქვს აღიარებული, რომ ის არაკონსტიტუციურ ვიზიტებს ახორციელებდა და ეს შეგნებული და გაცნობიერებული ჰქონდა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვას გამოეხმაურა პარტია „ლელო“.

- ხელისუფლების თვითნებობამ, არასამართლიანი წესებით თამაშმა, ძალმომრეობრივმა პოლიტიკამ და ტოტალური კონტროლისადმი მიდრეკილებამ მიგვიყვანა დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობამდე: ხელისუფლება ცდილობს, ყველა ბერკეტით იბრძოლოს, ხან - ძალის დემონსტრირებით, ხან - სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით და დააზიანოს საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა, - ნათქვამია პარტია „ლელოს“ განცხადებაში, სადაც ასევე, აღნიშნავენ, რომ თუ იმპიჩმენტის პროცესი პარლამენტში გადავა, პარტია „ლელო“ მხარს არ დაუჭერს. აღნიშნული პარტიის დეპუტატის,

ანა ნაცვლიშვილის თქმით, ის რაც ხდება პრეზიდენტის ირგვლივ, არის მცდელობა, „შექმნან სურათი, როგორ დასჯიან არა მხოლოდ პრეზიდენტს, არამედ ყველა მოქალაქეს, რომელსაც ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირში უნდა“.

პრეზიდენტის ინსტიტუტს მხარდაჭერა გამოუცხადა პარტიამ „საქართველოსთვის“. ბათუმის საკრებულოს წევრ აკაკი გვიანიძის განცხადებით, ის, რაც ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში, სინამდვილეში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა კი არ არის, ეს არის ჩვენი ევროპული მომავლის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. ფაქტი არის ის, რომ „ოცნება“ აგებს არჩევნებს და მაქსიმალურად ცდილობს, მაოხრებელი გზირის ფუნქცია შეითავსოს - გარდა იმისა, რომ ხელისუფლებიდან მალე მოუწევს წასვლა, სამუდამოდ დაასამაროს ჩვენი ევროპული პერსპექტივა“,- განაცხადა აკაკი გვიანიძემ.

აღსანიშნავია სხდომის მიმდინარეობისას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მანანა კობახიძის კითხვა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძისადმი. მანანა კობახიძე დაინტერესდა: „პრეზიდენტს წინა წელსაც არ ჰქონდა ვიზიტზე თანხმობა, მაგრამ წავიდა და იმპიჩმენტი არ დაინიცირდა - უნისონში თუ იქნებოდა მისი ყველა პოლიტიკური განცხადება და არ იქნებოდა კრიტიკა, ამ ჯერზეც ეპატიებოდა ეს წასვლა?“. მანანა კობახიძემ მმართველი პარტიის თავმჯდომარეს მეტი მტკიცებულების წარდგენისკენ მოუწოდა.

„მე, როგორც ერთი მოსამართლე, მინდა დავრწმუნდე, რომ იმპიჩმენტის წარდგენა არა პოლიტიკური ანგარიშსწორებით და პოლიტიკური უთანხმოებითაა გამოწვეული, არამედ მიგაჩნიათ, რომ იმ დონის დარღვევაზეა საუბარი, რომლის ჩადენის და სამართლებრივად დადასტურების შემთხვევაში, წარმოუდგენელი და შეუთავსებელი შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე დატოვება“ - განაცხადა მანანა კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თქმით, პოლიტიკური კუთხით, მათ არ აქვთ იმპიჩმენტის წარმატებით დასრულების მოლოდინი, ვინაიდან დარწმუნებულია, პრეზიდენტს ჰქონდა ოპოზიციის იმედი, როდესაც კონსტიტუციას არღვევდა.

„იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს და რომც არ დაადგინოს, ჩვენ ჩვენი პოზიცია უკვე გვაქვს დაფიქსირებული - ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არ არის პრეზიდენტობის ღირსი“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„კონსერვატიული პარტიის“ ლიდერ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია.

„პრეზიდენტის ირგვლივ წამოწყებული კამპანია არის „მესიჯი“ რუსეთის მიმართულებით, რომ ვინც ევროინტეგრაციის კუთხით აქტიურობს, მას იმპიჩმენტის მოწყობას ვუპირებთო. საკონსტიტუციო სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს და იტყვის, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია და პროცესი გადავა პარლამენტში, ამაში დარწმუნებული ვარ“- აღნიშნა ძიძიგურმა.

პარტიის „პროგრესი და თავისუფლება“ ლიდერმა კახა ოქრიაშვილმა ოპოზიციონერი დეპუტატების მისამართით განცხადება გააკეთა და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტის არცერთი დამოუკიდებელი და რეალურად ოპოზიციონერი წევრი მხარს არ დაუჭერს პრეზიდენტის იმპიჩმენტს.

„მართალია, პროცედურა ფარული კენჭისყრით ტარდება, მაგრამ თუ ოპოზიციიდან ვინმე გაიყიდება და ქვეყნის ღალატს ხელს იმ იმედით მოაწერს, რომ მისი, როგორც ერის გამყიდველის, ვინაობა არ გამჟღავნდება, ძალიან ცდება!“ - აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადებითი დასკვნის გამოტანის შემთხვევაში, პრეზიდენტის გადასაყენებლად 100 დეპუტატის ხმაა საჭირო, რაც „ქართულ ოცნებას“ არ აქვს პარლამენტში. საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო წარდგინების განხილვა სასამართლოში 3 ოქტომბერს დაიწყო და სავარაუდოდ, 14 ოქტომბრამდე გამოცხადდება, რა ვერდიქტს გამოიტანს 9 მოსამართლისგან შემდგარი პლენუმი.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ბრაზილიის ელჩს საქართველოში ოსვალდო ბიატო ჯუნიორს შეხვდა.

თორნიკე რიყვაძე მიესალმა ელჩის პირველ ვიზიტს აჭარის რეგიონში და თანამშრომლობის გაფართოებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. შეხვედრაზე გამოითქვა პარტნიორობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით გაღრმავების სურვილი როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

* * *

ბრაზილიის ელჩს საქართველოში, ოსვალდო ბიატო ჯუნიორს, ასევე, შეხვდა ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე. მათ ტურიზმისა და კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ვისაუბრეთ ბათუმზე, როგორც „იუნესკოს“ მუსიკის ქალაქზე და ხელოვნების მიმართულებით არსებულ მიღწევებზე. განვიხილეთ ტურიზმისა და კულტურის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებისა და ბრაზილიის საპორტო ქალაქებთან დამეგობრების შესაძლებლობები, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

* * *

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საფრანგეთში, პარიზის ტურისტულ გამოფენაში IFTM Top Resa მონაწილეობს. მსოფლიოში ერთადერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენას ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიც ესწრება. გამოფენის ფარგლებში მიმდინარეობს საქმიანი შეხვედრები და პრეზენტაციები საქართველოს სამთო, საზღვაო, გამაჯანსაღებელი კურორტების, სათავგადასავლო, კულტურული, ღვინისა და კულინარიული ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით.

* * *

„ბათუმის ავტოტრანსპორტს“ ბათუმელებისთვის სიახლე აქვს. მუნიციპალურ ავტობუსში გაჩერებების ხმოვანი გამოცხადების სერვისი ინერგება, რომელიც ამ ეტაპზე, სატესტო რეჟიმში მუშაობს. „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ მგზავრთა კომფორტული გადაადგილების მიზნით, ახალი სატრანსპორტო სერვისების დანერგვას მომავალშიც გეგმავს.

- ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრებს მორიგ სიახლეს ვთავაზობთ. ავტობუსებში გაჩერებების გახმოვანების სისტემა დაინერგა. აღნიშნული სისტემის საშუალებით მუნიციპალური ტრანსპორტი გახდება კიდევ უფრო ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ასევე, ჩვენი ქალაქის ვიზიტიორებისთვის ტრანსპორტით გადაადგილება იქნება უფრო ინფორმაციული და კომფორტული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ რეგულარულად მოხდეს სატრანსპორტო სერვისების გაუმჯობესება და აღნიშნული პროექტი ზუსტად ამ მიზანს ემსახურება, - გვითხრა „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორმა ლევან ლაზარიაშვილმა.

* * *

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაზეც ახდენს ერთგვარ გავლენას. ეს კარგად გაითავისეს შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებმა და ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთმა პირველებმა დანერგეს ადრეული განათლების კურიკულუმი. ეს ნოვაცია სკოლამდელ დაწესებულებებში თანამედროვე სტანდარტებით სწავლებასა და აღზრდისადმი თამაშით მიდგომას ითვალისწინებს. აღნიშნული სიახლის მიზნით უკვე გადამზადდნენ ის აღმზრდელები, რომლებსაც სტანდარტების შესაბამისი განათლება აქვთ.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის რეგიონის სამთავრობო დელეგაციის წევრებს შეხვდა. დელეგაციას სიჩუანის რეგიონის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლი ჰუი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა, განათლების, კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა. თორნიკე რიყვაძემ დელეგაციის წარმომადგენლებს აჭარის ტურისტული პოტენციალის, რეგიონის ბიზნესშესაძლებლობების და აჭარის საკვანძო სატრანზიტო მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

* * *

ხახულის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოების გამო სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდა ხახულის მეორე შესახვევიდან გაგარინის ქუჩამდე მონაკვეთში. შეზღუდვის გამო, №1, №7, №7ა და №8 მუნიციპალური ავტობუსები იმოძრავებენ შემდეგი სქემის მიხედვით: №1 - ორბელიანის, შარტავას, ბაგრატიონის, აღმაშენებლის, ტაბიძის, რურუას ქუჩების გავლით; №7 - ვარშანიძის, გენერალ ასლან აბაშიძის, შარტავას, ბაგრატიონის, აღმაშენებლის, ტაბიძის, რურუას ქუჩების გავლით; №7ა - აღმაშენებლის, ლეონიძის, გენერალ ასლან აბაშიძის, ვარშანიძის ქუჩების გავლით; №8 - ორბელიანის, შარტავას, ბაგრატიონის, აღმაშენებლის, ტაბიძის, რურუას ქუჩების გავლით. ცვლილებები სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე, დაახლოებით, ორი თვის განმავლობაში შენარჩუნდება.

* * *

ხელოვნებისა და ლიტერატურის მოყვარულებს ამ დღეებში შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ ხელოვნების მუზეუმში გამართულ ღონისძიებას „ლიტ-არტი“. საღამოზე, კლასიკური მუსიკის თანხლებით, სტუმრებისთვის მინიატურები წაიკითხეს, შეიქმნა კალიგრაფიული ნამუშევრები, რომლებიც სამუზეუმო ფონდს გადაეცა საჩუქრად. როგორც ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ აღნიშნა, ღონისძიების მიზანი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მომუშავე ადამიანების დაახლოება, აღნიშნული დარგების პოპულარიზაცია, სამუზეუმო ყოველდღიურობისა და სამუზეუმო ფონდის გამრავალფეროვნებაა.

* * *

ჩვენი ქალაქი 21 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალს, „ბათუმის რაფსოდია“ მასპინძლობდა. ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი ცნობილი საოპერო მომღერალი თამარ ივერი გახლავთ. შარშან ეს ფესტივალი სხვა ფორმატით და სახელწოდებით - „ოპერის ოქროს ხმა“ წარმატებით ჩატარდა. ფესტივალმა წელს კიდევ უფრო სიღრმისეული დატვირთვა შეიძინა. პროექტის მიზანი ახალგაზრდა მუსიკოსების მხარდაჭერა, მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაა.

ბათუმში ლეგენდარული მომღერლები რობერტო სკანდუცი (ბანი, იტალია), ვესელინა კასაროვა (მეცო სოპრანო, ბულგარეთი), ბოუიდარ ნიკოლოვი (ტენორი, ბულგარეთი) ჩამოვიდნენ, რომლებიც ასევე, ცნობილი პედაგოგები არიან. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოში პირველად, ორდღიანი საყოველთაო მასშტაბური მოსმენა გაიმართა.

მოამზადა
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

ევროკავშირსაც სურს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღესდღეობით ევროკავშირში 27 წარმატებული ქვეყანაა გაერთიანებული. 2030 წლისთვის იგეგმება ამ სტრუქტურის გაფართოება, მას ახალი წევრები შეემატებიან. როგორია საქართველოს პერსპექტივა ამ კავშირში ინტეგრაციისთვის? კანდიდატის სტატუსის მისაღებად რამდენად მზად ვართ და როგორია ჩვენი რეალური შანსი? - ეს კითხვები ახლა ბევრს აღელვებს, შესაბამისად, არაერთხელ გამხდარა საჯარო მსჯელობისა და განსჯის საგანი

ცხადია, იოლად არაფერი მოგვეცემა, 12 რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნაც ამაზე მეტყველებს. არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც ჩვენი თანამემამულენი აქტიურად ირჯებიან იმისთვის, რომ ქვეყნის ინტეგრაციის პროცესს ხელი შეუწყონ. ამ მხრივ, გამოირჩევა ორგანიზაცია „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ***თეონა ლავრელაშვილი*** *გახლავთ ევროპის პოლიტიკური ცენტრის ანალიტიკოსი, ასევე, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის კოორდინატორი. დღეს ქალბატონი თეონა გაზეთ „აჭარის“ სტუმარია. იგი ალიანსის საქმიანობასა და კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გვესაუბრება.*

- თქვენ ბრიუსელში დაარსებული ორგანიზაციის „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი ხართ...

- „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ ბრიუსელში დავაარსეთ რამდენიმე წლის წინ. მისი მიზანია საქართველოს ევროინტეგრაციის ხელშეწყობა და ამას ვაკეთებთ რამდენიმე მიმართულებით. პირველია ჩვენი ორგანიზაციის ფარგლებში ღონისძიებების მოწყობა, სემინარების ჩატარება, პოლიტიკური დიალოგების გამართვა, ანუ ვმსჯელობთ საქართველოს ევროინტეგრაციაზე, მის მომავალზე, შესაძლებლობებზე, გამოწვევებზე ევროპარლამენტარებთან, ევროკომისიის წარმომადგენლებთან. მეორე მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ ხელს ვუწყობთ ქართველი ახალგაზრდების ჩამოსვლას ბრიუსელში ევროპარლამენტში სტაჟირების გასავლელად. ჩვენი ძალისხმევით სამი წლის განმავლობაში 50-ზე მეტ ახალგაზრდას შესაძლებელობა მიეცა, ევროპარლამენტში გაევლო სტაჟირება და თავისი თვალით ენახა აქ მიმდინარე პოლიტიკური და ინსტიტუციური პროცესები, გასცნობოდა ევროპარლამენტარებს და ჩართულიყო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში.

- როგორც ევროპის ცენტრის ანალიტიკოსს, მინდა, გკითხოთ: ევროკომისიამ უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი ერთწლიანი ვადა დაუწესა. რა გახდა ამის მიზეზი?

- როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ შარშან ვერ მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, ამას ორი მიზეზი აქვს: პირველი პოლიტიკურია, მეორე კი უშუალოდ ჩვენი ქვეყნის არასაკმარისი მზაობაა რეფორმების მიმართულებით. განსაკუთრებით გამოვყოფდი იმ ნაწილს, სადაც საუბარია პოლარიზაციასა და დეოლიგარქიზაციის თემაზე, ასევე, მედიის თავისუფლებაზე, აი, ამ სამ ნაწილში გახდა საქართველოს მიმართ გადაწყვეტილების მიღება საყოყმანო. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას და მოლდოვას აქვთ გამოწვევები (ევროკომისიის დასკვნა ამას ცალსახად აღნიშნავს), ევროკომისიამ ამ ქვეყნებს მწვანე შუქი აუნთო, საქართველოსთან დაკავშირებით კი, როგორც აღვნიშნე, პოლარიზაციის, დეოლიგარქიზაციის და მედიის თავისუფლების საკითხები გახდა უარის თქმის საფუძველი, მაგრამ უფრო მეტად ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და ამას აქ არც უარყოფენ, თუმცა ხმამაღლა და ღიად არ საუბრობენ. არაოფიციალურად იმასაც აღნიშნავენ, რომ საქართველო რუსეთს დაუახლოვდა და ამის მთავარი გამოხატულება იყო ის, რომ საქართველომ არ აღმოუჩინა შესაბამისი მყარი და თანმიმდევრული დახმარება უკრაინას. აი, ეს ერთგვარი მინიშნება იყო საქართველოსთვის, რომ კანდიდატის სტატუსი დაიმსახურეს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც დასავლეთის რეკომენდაციები ზედმიწევნით შეასრულეს. კანდიდატის სტატუსზე უარი რომ შევაჯამოთ, აქ იყო ორი ფაქტორის გადაჯაჭვა, ანუ პოლიტიკური და, უშუალოდ, რეფორმების მხრივ გარკვეული ჩამორჩენა, თუმცა აღვნიშნავდი, რომ პოლიტიკურმა ფაქტორმა გადაწყვეტილებაზე მეტი გავლენა იქონია.

- ევროკომისიამ წლის ბოლოს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოსთან დაკავშირებით. რა მოლოდინი გაქვთ და ქართველ პოლიტიკოსებს რამდენად აქვთ გაანალიზებული კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობა ქვეყნისთვის?

- ევროკავშირისთვის ახლა გეოპოლიტიკურად გარდამტეხი პერიოდია, რადგანაც იგი აცხადებს, რომ გაფართოვდება. ასეთი სწორხაზოვანი განცხადებები ადრე არ გვახსენდება. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ უშუალოდ ევროსაბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა, რომ 2030 წლისთვის უნდა მოვემზადოთ ევროკავშირის გაფართოებისთვის. სიმართლე გითხრათ, ამ განცხადებას ბრიუსელის ინსტიტუტებში დადებითი გამოხმაურება არ მოჰყვა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეს არ იყო შეთანხმებული გადაწყვეტილება, რაც არცთუ ბრძნულად იქნა აღქმული. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის გაფართოების ფანჯარა ღიაა და ეს ორგანიზაცია ამ მიმართებით ძალიან ემზადება. თქვენ, ალბათ, მოუსმინეთ ევროკომისიის პრეზიდენტ ფონ დერ ლაიენის სიტყვას. მან შეაჯამა სტრასბურგში მიმდინარე პროცესები. არ გამოუცხადებია კონკრეტული თარიღი, თუმცა ცალსახად იყო წარმოდგენილი ის ხედვა, რომ ევროკავშირი ემზადება გაფართოებისთვის და ამისათვის გარკვეულ პოლიტიკურ რეფორმებს ატარებს აქ, ბრიუსელის ინსტიტუციებში, ასევე, მეთოდოლოგიის მხრივ, მზადდება სპეციალური დოკუმენტები (სპეციალური ანალიზი უნდა მომზადდეს), რომელიც შეაფასებს, თუ რა გავლენას მოახდენს ევროკავშირზე მისი გაფართოება. აქ საუბარია უკრაინის შესაძლებლობაზე, ვინაიდან ეს არის ძალიან დიდი ქვეყანა, ძალიან დიდი ბიუჯეტით, სასოფლო-სამეურნეო რესურსებით და ამას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ევროკავშირის ინსტიტუტებზე - იგულისხმება პარლამენტარების რაოდენობა, დაახლოებით, 50-ზე მეტი პარლამენტარი ეყოლება ევროკავშირში უკრაინას, რისთვისაც ევროკავშირი ჯერჯერობით მზად არ არის. ასევე, მიმდინარეობს მწვავე დებატები ბრიუსელში: გართულდება თუ არა გადაწყვეტილების მიღება ახალი წევრების პირობებში? დიდი ალბათობით, გართულდება, რადგან კონსენსუსის მიღწევა ძალიან რთულია, ახლა 27 ქვეყანაა ევროკავშირის წევრი და მოახერხა კრიზისების დროს ერთიანობის შენარჩუნება, მაგრამ თუკი იქნება 30-ზე მეტი ქვეყანა, ცხადია, კონსენსუსის პრინციპი შეიძლება გადაიხედოს. რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, ანუ რამდენად აქვთ გაანალიზებული და გაცნობიერებული ქართველ პოლიტიკოსებს ეს სტატუსი - ამას წინათ მქონდა საუბარი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის გენერალურ დირექტორ გერთ იან კოპმანთან და, პრინციპში, მასაც მსგავსი აზრი აქვს, რომ საქართველოში პოლიტიკოსების დიდ ნაწილს (როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში) არცთუ ისე მაღალ დონეზე აქვს გათავისებული ეს საკითხი და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მთავრობამ უნდა დააჩქაროს რეფორმები, განსაკუთრებით დეოლიგარქიზაციის კუთხით. ასევე, არის პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც სიღრმისეული ფაქტორია და ვნებს საქართველოს. როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოში იმყოფებოდა ჯოზეფ ბორელი. მისი აზრით, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ კონსენსუსს უნდა მიაღწიონ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ არის მიღებული, ანუ სტატუსის მონიჭება დამოკიდებულია 12 რეკომენდაციის შესრულებაზე. ამ რეკომენდაციებიდან მხოლოდ სამი შესრულდა. ჩვენ არ გვთხოვენ, რომ ყველა შესრულდეს უმაღლეს დონეზე, თუმცა ძლიერი პროგრესია საჭირო რეკომენდაციების შესრულების გზაზე.

- როგორც ცნობილია, ბრიუსელიდან ელოდებით რეპორტების გამოქვეყნებას...

- დიახ, ეს რეპორტები (პროგრესს ვუწოდებთ აქ) უნდა გამოქვეყნდეს და მასში უნდა აისახოს უშუალოდ ევროკავშირის რეკომენდაციები - მიეცეს თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი. თავდაპირველად 11 ოქტომბერი გაუღერდა ბრიუსელში, მერე 31 ოქტომბერი დასახელდა, ამას მე ვუკავშირებ იმას, რომ მსჯელობენ - მიეცეს თუ არა საქართველოს კანდიდატის სტატუსი და ამ მხრივ ელოდებიან პროგრესს საქართველოს მხრიდან. ასე რომ, ევროკომისიისგან მზაობა არის, საქართველოს ჰქონდეს ეს სტატუსი, მაგრამ ჩვენგანაც სჭირდებათ მეტი ძალისხმევა.

- თქვენ ამას წინათ განაცხადეთ, რომ საქართველო, სავარაუდოდ, მიიღებს კანდიდატის სტატუსს გარკვეული ვადით, ანუ...

> ***„ჩვენ უკვე ვართ ამ გზაზე და ამის მთავარი გამოხატულება ის არის, რომ ქვეყანას აქვს ევროპული პერსპექტივა. აი, ამ პერსპექტივის მონიჭება ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომელიც საქართველოში არცთუ კარგად არის დაფასებული. პოლიტიკური აქტორების მიერ არ მოხდა ამის წარმოჩენა ისე, როგორც უნდა წარმოჩენილიყო. ეს ნიშნავს, რომ უკვე ვართ პროცესში, შემდეგი ნაბიჯია კანდიდატის სტატუსი. ეს იქნება ლოგიკური ნაბიჯი და ეს მოხდება***

- კი, ეს იდეა იყო ბრიუსელში და ახლაც არის, თუმცა, ვფიქრობ, ნაკლებად სავარაუდოა, ეს სტატუსი მოგვენიჭოს მხოლოდ ერთწლიანი ვადით იმიტომ, რომ კანდიდატის სტატუსი არ არის იურიდიული ტერმინი. ეს არის ერთგვარი პირობითი შეთანხმება, რომელიც იწერება დეკლარაციაში, ევროკავშირის დოკუმენტაციაში, რომელიც ცხადყოფს, ქვეყანა არის თუ არა მზად, დაიწყოს მოლაპარაკებები ევროკავშირში გაერთიანების გზაზე. პრინციპში, ჩვენ უკვე ვართ ამ გზაზე და ამის მთავარი გამოხატულება ის არის, რომ ქვეყანას აქვს ევროპული პერსპექტივა. აი, ამ პერსპექტივის მონიჭება ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომელიც საქართველოში არცთუ კარგად არის დაფასებული. პოლიტიკური აქტორების მიერ არ მოხდა ამის წარმოჩენა ისე, როგორც უნდა წარმოჩენილიყო. ეს ნიშნავს, რომ უკვე ვართ პროცესში, შემდეგი ნაბიჯია კანდიდატის სტატუსი. ეს იქნება ლოგიკური ნაბიჯი და ეს მოხდება, მაგრამ გვინდა, რომ მალე მოხდეს! კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ ვართ პროცესში ჩვენი ევროპული პერსპექტივით. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემდეგი ნაბიჯი კანდიდატის სტატუსისა არის მოლაპარაკებების დაწყება ევროკავშირთან გაერთიანების თვალსაზრისით, მაგრამ ეს ორი ნაბიჯი სიმბოლური აღმოჩნდება (კანდიდატის სტატუსი, მოლაპარაკებების დაწყება), თუკი არ მოხდება პროგრესი რეფორმების და ტრანსფორმაციის გზაზე. კანდიდატის სტატუსის მონიჭება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩვენ რამდენიმე წელიწადში გავხდებით ევროკავშირის წევრი. ევროკავშირის მაღალჩინოსნებიც (როცა უკრაინას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა) აღნიშნავდნენ, რომ ეს არის სიმბოლური ნაბიჯი. არის საუბარი, რომ პირობითად მივანიჭოთ საქართველოს სტატუსი და მერე, თუ უკუსვლა მოხდა, წავართვათ, მაგრამ ვერ წაგვართმევენ იმიტომ, რომ ეს არის ხელშესახები იურიდიული დოკუმენტი.

- ეს რაზე მიანიშნებს?

- ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირს სურს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, მაგრამ აანალიზებს იმ პრობლემებს, რაც ქვეყანაშია და, პირველ რიგში, ესაა პოლიტიკური პრობლემები, თუმცა სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები ხორციელდება. ამას მეუბნებოდა ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის გენერალური დირექტორი კოპმანი, რომ ქვეყანა წინ არის ადმინისტრაციული და სახელმწიფოს ფუნქციონირების ნაწილში, მაგრამ არის გარკვეული პოლიტიკური კომპეტენციები, სადაც გვჭირდება მეტი ძალისხმევა. ეს უკავშირდება რეფორმებს და განწყობებს, რაც საქართველოს მმართველ ელიტას აქვს ევროკავშირის მიმართ.

- კანდიდატის სტატუსის მონიჭება-არმონიჭება რა შესაძლებლობას ან გამოწვევებს უქადის ქვეყანას?

- აქ ორ მიმართულებას გამოვყოფდი. პირველი არის პოლიტიკური შესაძლებლობები. იცით, რომ არსებული ტრიოს ფორმატი (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით არ დაშლილა, მაგრამ არც ისე წინ არის ევროკავშირის დღის წესრიგში. მართალია, უკრაინას და მოლდოვას აქვთ კანდიდატის სტატუსი და დაიწყეს მსჯელობა გაწევრიანებაზე, თუმცა ეს მოლაპარაკებები იქნება ძალიან ხანგრძლივი და ძალიან ბიუროკრატიული. ისინი რამდენიმე წელიწადში ვერ გახდებიან ევროკავშირის წევრები, მაგრამ როდესაც გვექნება ეს სტატუსი, ისევ დავიბრუნებთ როლს ასოცირებული ტრიოს ფორმატში და გაფართოების დღის წესრიგში ვიქნებით მოწინავე ქვეყანა... რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, აქ შეიძლება მოხდეს ახალი იდეების განვითარება, როგორიც არის სტრუქტურული ინტეგრაცია, ასევე, ქვეყნების ინტეგრაცია ერთიან ბაზარში, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში, ანუ ინსტიტუციურად მოხდეს დაახლოება და თანდათანობითი ინტეგრაცია მანამ, სანამ ჩვენ გვექნება უშუალო წევრობა.

- დაბოლოს, ევროპულ ერთიან სივრცეში ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად მნიშვნელოვანია?

- საგარეო მიმართულებით ევროპასთან დაახლოება არის უმნიშვნელოვანესი. გვჭირდება მეტი პროგრესი, ერთობა რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით. მეორე ამოცანაა კანდიდატის სტატუსის მიღება და მესამე - პოლიტიკური ნება, რომ ჩვენ მეტად დავუახლოვდეთ ევროკავშირს. თუ იქნება ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები, მაშინ ევროკავშირი გადაწყვეტს, მოგვანიჭოს კანდიდატის სტატუსი. ეჭვგარეშეა, რომ თუ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია მოხდება, ეს პროგრესული მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის იმიტომ, რომ ყოველმხრივ დაჩქარდება საქართველოს განვითარება და კეთილდღეობა.

ბათუმი ამ საერთაშორისო გამოფენას მეთერთმეტედ მასპინძლობს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

6 ოქტომბერს საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ბათუმის“ ორგანიზებით, აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გამოფენა „აგრო ბათუმი 2023“ სპორტის სასახლეში (ლადო ასათიანის ქ. №27) 11 საათზე ოფიციალურად გაიხსნება

ოფიციალური გახსნის ცერემონიას საქართველოს მთავრობის წევრები, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური კორპუსები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ორგანიზატორების თქმით, გამოფენის მიზანი სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანებაა.

- ჩვენი გამოფენა უკვე მე-11 წელია, ხელს უწყობს ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და ახალი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გამოფენის მსვლელობისას მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ, სამი დღის განმავლობაში თავიანთი პროდუქცია და სერვისები პოტენციურ მყიდველებს გააცნონ. აგროგამოფენაში 50-მდე ადგილობრივი და

იხ. მე-5 გვ.

გიორგი თეთრაძე: მალე პატარ-პატარა ტურისტული კომპანიები გავქრებით

ხატია იაშვილი 555 18 48 88

პარლამენტმა „ტურიზმის შესახებ“ კანონი 2023 წლის 28 ივნისს პირველი მოსმენით მიიღო. მას მხარი 79-მა დეპუტატმა დაუჭირა

კანონპროექტით ტურისტული მომსახურების სფეროში ახალი რეგულაციები შემოდის, რომლის შედეგად სსიპ „ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას“ ზედამხედველის ფუნქციები ენიჭება. ამასთან, კანონპროექტის თანახმად, ტუროპერატორი და კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებული ხდება, შესაძლო გადახდისუუნარობის შემთხვევისთვის, ფინანსური უზრუნველყოფა იქონიოს. კერძოდ, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უნდა წარუდგინონ შესაბამისი უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი), რომელიც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სპეციალურ რეესტრში აისახება. კანონპროექტის მიხედვით, ტუროპერატორი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ისეთ პაკეტებს, რომლებიც მოიცავს საქართველოს გარეთ ტურისტულ მომსახურებებს და ჩარტერულ ფრენებს, ვალდებულია, ფინანსური უზრუნველყოფის სახით იქონიოს პაკეტების დაგეგმილი წლიური გაყიდვების არანაკლებ 7 პროცენტისა, მაგრამ არანაკლებ 30 ათასი ლარისა. ამასთან, იგივე ფინანსური გარანტიაა გათვალისწინებული იმ ტურაგენტებისთვისაც, რომლებიც კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ტუროპერატორის მიერ შექმნილი პაკეტის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტებს სთავაზობენ ასეთ პაკეტს ან ასეთი ტუროპერატორის სახელით ყიდიან ამ პაკეტს. ტურიზმის სექტორს კანონთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა ჰქონდა, რომელსაც განხილვების დროსაც აფიქსირებდნენ, მაგრამ როგორც ჩვენთან საუბარში საქართველოს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, პროფესიით გიდმა გიორგი თეთრაძემ გვითხრა, არავის მათი შენიშვნები არ გაუთვალისწინებია, პირიქით, რიგი საკითხები ჩამატებულიცაა. ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა პროფკავშირის დაჩქარებული წესით დაარსებაც, როგორც ბატონმა გიორგიმ გვითხრა, სწორედ ამ კანონის მიღებამ განაპირობა, სადაც ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ყველა ორგანიზაციას შეუძლია გაწევრიანება.

„ზოგადად, პროფკავშირების შექმნა დიდი ხანია გვინდა, ჩვენს სფეროში ეს აუცილებელი და საჭიროა. დღეს არსებობს გიდების, მძღოლების, ტუროპერატორების და სხვა ასოციაციები, მაგრამ გაერთიანებულად, ვინც ყველას სათქმელს მიიტანდა საკანონმდებლო ორგანოებამდე, არ არსებობდა.

საქართველოში ორგანიზაცია არ არის, რომელიც ჩვენს სათქმელს იტყვის. წესით, ეს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უნდა გააკეთოს, მაგრამ ისინი ჩვენთან არ კონტაქტობენ. დაკავებულნი არიან სხვა ფუნქციებით, მივლინებებით, ხალხს არ ეკონტაქტებიან. წელს უამრავი ტურისტი იყო შემოსული, ნებისმიერ გიდს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ გასულ წელთან შედარებით ცუდი წელი იყო ფინანსურად. ახალი კანონპროექტის მიღების შემდეგ კი ჩვენ, პატარ-პატარა ტურისტული კომპანიები თუ გიდები „გავქრებით“ და იცით, რატომ?! ახალი კანონის თანახმად, როგორც შემომყვან, ისე გამყვან ტუროპერატორებს ვალდებულება ექნებათ, 30 ათასი ლარი ბიუჯეტში შეიტანონ და ეს თანხა გაიყინება. გამყვან ტურებზე მომუშავე კომპანიებთან დაკავშირებით მესმის, იქნებ, სხვა ქვეყანაში რამე პრობლემა შეიქმნას და ფინანსები უკვე მობილიზებული ექნებათ, მაგრამ შემომყვანზე რა საჭიროა, უბრალოდ, აუხსნელია. ეს პუნქტი ახალი დამატებული აქვთ. წარმოიდგინეთ, იგივე თანხის შეტანა ევალება გიდს, რომელიც სასტუმროს ან ტაქსით მომსახურებას დაჯავშნის. მასაც მოუწევს იგივე თანხის გაყინვა. არცერთი გიდი არ მეგულება, ვისაც ამდენი თავისუფალი თანხა ექნება. პარლამენტში უკვე დავაფიქსირე ჩემი აზრი, რომ ეს კანონი არის კატასტროფული მთელი ტურიზმის სექტორისთვის, აბსოლუტურად დამანგრეველი. ტურიზმი, ზოგადად, ჩვენ მოვიყვანეთ დღემდე - გიდებმა, ტურკომპანიებმა, სახელმწიფოს მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ვთხოვდით. ჩვენ შევქმენით ტურიზმი დამოუკიდებლად, ამიტომ ეს კანონი, რომლის მიღებასაც აპირებენ, საქართველოს მოქალაქეებისთვის დამღუპველია. მე, როგორც გიდი, დარეგისტრირებული ვარ, ვიხდი საშემოსავლო გადასახადებს, მაგრამ ახლა სხვა სურათია. ვიხდი თანხას და ნელ-ნელა მეცლება ტურისტი ხელიდან, რადგან ვინც გუშინ ჩამოდიოდა, დღეს მისი ქვეყნის გიდი ემსახურება ჩემს ქვეყანაში. სომეხი გიდი უხსნის, რომ მათი დამწერლობა გვაქვს, თურქეთის მოქალაქე კი, რომ... ბათუმი მისი იყო, რუსი კიდევ თავისებურად და „ავშენდით“. არადა, ეს რეალობაა. რაც ტელევიზიებით ისმის, რასაც პრემიერიც აცხადებს, არის ყალბი, რადგან ის მილიარდები კი არ შემოედინება, უკან გადის. ტურისტს სხვა ქვეყნის გიდი ემსახურება, როგორც მძღოლი. მისი კომპანია სხვა ქვეყანაშია რეგისტრირებული, იქ იხდის გადასახადებს და ჩვენს სახელმწიფოს რა?! მხოლოდ ციფრებზე საუბარი. წარმოიდგინეთ, თურქეთში 6 კაცზე მეტს თუ ტურში წაიყვან და მათ გიდს არ აიყვან, ჯარიმის სახით 5 ათას დოლარამდე გიწევს გადახდა. ჩვენთან კი ასეთი სურათია - სხვა უკეთ იწყობს ბიზნესს. მესმის, რომ მათ სოციალური ქსელების და სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება ჩვენზე უკეთ იციან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ჩვენი ინტერესები არ დაიცვას. ჩვენ ვვარდებით ცუდ მდგომარეობაში. ფინანსებზე მეტად გვაინტერესებს, რომ ვიკიპედიიდან ამოღებული ინფორმაციები არ მიეწოდოს ტურისტს. თან ისინი არანაირ გადასახადს არ იხდიან. ქვეყანაში თანხა არ რჩება. მათი ტურებიდან არცერთი თეთრი არ შედის ბიუჯეტში. ჩვენ კი გვავალებენ, გაყინულ ანგარიშზე თანხა შევიტანოთ“, - გვითხრა გიორგი თეთრაძემ.

> ***„პარლამენტში უკვე დავაფიქსირე ჩემი აზრი, რომ ეს კანონი არის კატასტროფული მთელი ტურიზმის სექტორისთვის, აბსოლუტურად დამანგრეველი. ტურიზმი, ზოგადად, ჩვენ მოვიყვანეთ დღემდე - გიდებმა, ტურკომპანიებმა, სახელმწიფოს მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ვთხოვდით. ჩვენ შევქმენით ტურიზმი დამოუკიდებლად, ამიტომ ეს კანონი, რომლის მიღებასაც აპირებენ, საქართველოს მოქალაქეებისთვის დამღუპველია“***

მისივე თქმით, დღემდე გიდების ინტერესები არ არის გათვალისწინებული. პირიქით, იზღუდება: „ჩვენ, გიდები, დღემდე ვერ ვიმუშავებდით, თუ არ ვიქნებოდით დამადასტურებელი საბუთით რეგისტრირებულნი როგორც მეწარმე სუბიექტები. ეს ასეც უნდა იყოს და ამის მომხრეც ვარ, როგორც გადამხდელი, ყველა ვართ ვალდებული, გადასახადები გადავიხადოთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს მოვალეობები, ვალდებულებები, ამ დროს არანაირი მოვალეობა ცოდნის მხრივ არ გააჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეს. მათი სიმრავლე წელს ბათუმში უფრო მეტად იგრძნობოდა. ტურიზმი არის პოლიტიკაც. ვისაც რა მოუვა აზრად, იმას საუბრობს. არავინ აკონტროლებს, ამასობაში კი ჩვენ ყველანი ვრჩებით უმუშევრები. ჩვენ ვქრებით და ტურიზმი გადადის დიდი კომპანიების ხელში. ბიზნესის გამსხვილება ხდება. გვაიძულებენ, მოვძებნოთ რაღაც „ხვრელები“, გზები, რომ ბიუჯეტში ეს თანხა არ შევიტანოთ. გავაუქმო რეგისტრაცია - არ ვიქნები იურიდიული პირი და მეც, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქე არ იხდის, ისე მოვემსახურები ტურისტს. ვერავინ დამიჭერს. ტურისტზე ვიტყვი, რომ პირადი სტუმარია. გვაიძულებენ, ასე გავაგრძელოთ მუშაობა და გაგვაქრონ ამ სფეროდან“, - გვითხრა გიორგი თეთრაძემ.

ემიგრანტის „სხვა“ საქართველო და ემოციები, რაც უცხოეთში ცხოვრებას ახლავს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სოფო გუჯია საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე „ზე-კართან“ გავიცანი. თავიდანვე თვალშისაცემი იყო მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება თითოეული მწერლის, პოეტის გამოსვლაზე - თვალები ცრემლით ევსებოდა და ცდილობდა, ღიმილით გადაეფარა ემოციები. ვუყურებდი და შეგრძნება მიჩნდებოდა, რომ ხარბად ისრუტავდა ყველაფერს ქართულს, ეფერებოდა ბუნებას, ადამიანებს და აგროვებდა საგზლად წასაღებ შთაბეჭდილებებს. ასეც აღმოჩნდა

სოფო ემიგრანტია, იტალიაში ცხოვრობს, საქართველოს კი 6 წლის შემდეგ რამდენიმე დღით დაუბრუნდა. ვთხოვე, მოეყოლა საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების ცხოვრებაზე, ემოციებზე, რომელიც ემიგრანტის ყოველდღიურობას ახლავს. სულ მალე წიგნის გამოცემას აპირებს, რომელშიც როგორც თავის, ასევე სხვა ემიგრანტების ყოფა-ცხოვრებაზე ისაუბრებს, იმ ტკივილებზე, რომლებმაც შესაძლებელია, სიცოცხლეშივე გარდაცვალება განგაცდევინოს.

- ემიგრანტობის „გემო“...

- ემიგრანტის ცხოვრება ხშირად, ბევრის გადასახედიდან, ძალიან საინტერესო, ბედნიერი, ლაღი და მრავალფეროვანი ჩანს, თუმცა ამ ყველაფრის მიღმა დიდი სევდა იმალება. კი, ჩვენ ხშირად ვათავსებთ სოციალურ ქსელში ლამაზ ფოტოებს, მოგზაურობის ვიდეოებს, ეს ერთგვარი „სიგნალია“ ჩვენი ქვეყნის, შვილების, ოჯახის წევრებისათვის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხლები ვართ და ვიბრძვით უკეთესი ხვალინდელი დღისთვის. ძალიან ბევრი ადამიანი იკარგება ემიგრაციაში, რა თქმა უნდა, ფიზიკურ დაკარგვას არ ვგულისხმობ. უცხო ქვეყანაში ძალიან რთულია, იპოვო შენი გზა. საქართველოდან ასეთი ლექსით წავედი: ზოგს გზა დაეძებს და აქცევს კაცად, ზოგნიც ძებნაში იკარგებიან, რად ჯდება ნეტავ სიცოცხლის ფასად გზის პოვნა, როცა ყველგან გზებია. უფასს ვეხვეწებოდი სწორი გზებით ვეტარებინე, მოეცა შესაძლებლობა, ქართველ ხალხს გამოვდგომოდი ემიგრაციაში. ვისწავლე, მაქვს დიპლომი ბოლონიის უნივერსიტეტის ბეჭდით, ახლა კი ვემზადები იტალიურში, რომ ვისწავლო მაგისტრატურაზე იურიდიული მიმართულებით, რითაც გამოვადგები ჩემს ქართველ ემიგრანტებს. იცით, ბევრგან არიან აქ იურისტები, მაგრამ, სამწუხაროდ, მართალი ძალიან ცოტაა, ისეთები, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ფულის შოვნაზე და რეალურად ცდილობენ ემიგრანტების პრობლემების მოგვარებას. მინდა, ყველა ქართველ ემიგრანტს ვთხოვო, ნუ დაკარგავთ დროს ფუჭად მარტო იმისთვის, რომ ფული იშოვოთ და გააგზავნოთ საქართველოში, იბრძოლეთ განვითარებისთვის, ისწავლეთ, იმიტომ, რომ როგორც ჩვენს ქვეყანას, ასევე შვილებს ძლიერები და წარმატებულები ვჭირდებით. ძალიან მინდა, ჩვენი გაკეთებული საქმეებით, სიკეთეებით, წარმატებით ვასახელოთ და ვაამაყოთ ჩვენი საქართველო. იტალიელებმა სანტა კლაუსი შემარქვეს, ზუსტად იციან, რომ რაც შემიძლია ჩემი ქართველებისთვის (და არამარტო მათთვის), ყველაფერს გავაკეთებ. როცა არ შეგცვლის ფული, სიმაღლეები, სტატუსები, ვფიქრობ, მაშინ უფალი გყავს გულში, რომელიც გაძლევს ძალას, გაუმკლავდე ყველა გამოწვევას. უდიდესი სიყვარული მაკავშირებს საქართველოსთან, რომელიც უფრო და უფრო იზრდება და ფართოვდება. სულ ვამბობ, საქართველოა ის ქვეყანა, რომლისთვისაც, თუ დასჭირდა, ყველა მიზეზგარეშე, თავის გაწირვა შემიძლია.

- როცა დედები მიდიან ემიგრაციაში და ტოვებენ შვილებს, ხშირად საყვედურობს მათ საზოგადოება... გინანიათ გადაწყვეტილება?

- გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, მინანია ის წლები, რომლებიც შვილთან ვერ გავატარე, მიუხედავად იმისა, რომ მის ყოველდღიურ რუტინაში აქტიურად ვარ ჩართული, მაგრამ დღეს იგივე არჩევანის წინაშე რომ ვიყო, ვფიქრობ, მაინც წავიდოდი. მთავარი იცით, რა არის? სწორი კომუნიკაცია შვილებთან, ოჯახის წევრებთან. მე არ ვაჩვევ ჩემს შვილს, რომ ჩემი დამსახურებით ყველაფერი ექნება, რასაც მოისურვებს. მან იცის, რომ თუ არ ისწავლის, შრომისმოყვარე თუ არ იქნება, ისე არ მოვა არანაირი წარმატება. ემიგრაციაში მყოფ ქალბატონებს მინდა ვთხოვო, სანამ გვიანი არ არის, ნიადაგი მოვამზადოთ საიმისოდ, რომ ჩვენთან წავიყვანოთ შვილები და ერთად გავაგრძელოთ ცხოვრება და მოღვაწეობა.

- გიკითხავთ შვილისთვის იმ განცდებზე, რაც დედის ემიგრაციაში ყოფნას ახლავს?

- მიკითხავს და პასუხი მიმიღია, რომ ყოველთვის ვაკლდი... მაგრამ შემდეგ უთქვამს ისიც, დედა, რომ არა შენ, ამ ყველაფერს ვერ შევძლებდიო. თითქოს ვმშვიდდები, ასე სწორად რომ იაზრებს ყველაფერს და იცის, ხანდახან გვიწევს დედებს მძიმე გადაწყვეტილებების მიღება, თუმცა ეს ყველაფერი ისევ ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ კეთდება. ზემოთაც აღვნიშნე, მგონია, შვილებისთვის სწორად მიწოდებულ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ძალიან ბევრი ემიგრანტი დაბრუნდა ცრემლებით უკან, ემიგრაციაში, როცა აღმოაჩინა, რომ საკუთარ ოჯახში დაბრუნებულს, ყველა გაუცხოებული დახვდა...

- როგორც ვიცით, ძალიან მალე წიგნის გამოცემას აპირებთ. რა სათქმელით წარსდგებით მკითხველის წინაშე?

- გადავწყვიტე, ემიგრაციაში წასვლის შემდეგ დამეწერა ჩემს ცხოვრებაზე. წიგნს ერქმევა „სიცოცხლეში სიცოცხლე და ემიგრაციაში გარდაცვალება“. სიცოცხლეში სიცოცხლე იმიტომ, რომ ჩვენ მაინც ვცოცხლობთ, ვიბრძვით. ემიგრაციაში გარდაცვალება იმიტომ, რომ

იხ. მე-7 გვ.

„ჩემი პოეზიიდან ყველა ლექსი ვარ“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პაატა სურმანიძე (პოეტ პოეტიშვილი) *ზენაარის რჩეული რომაა, არა მარტო მისი არაორდინარული პოეზია, არამედ ერთი ცხოვრებისეული ფაქტიც მოწმობს - ის წლების წინ თურქეთში მეწყერს გადაურჩა. მშობლიურ კუთხეში დაბრუნებული შემოქმედებით საქმიანობას წარმატებით განაგრძობს. ინტერნეტსივრცეში მოსწონთ მისი გვერდი „მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკა“, ახლახან ლიტერატურულ ჟურნალ „ჭოროხში“ დაიბეჭდა მისი ახალი ლექსები. პაატა თავის ყველა მიღწევას დედას - პოეტ ნათელა შაინიძეს უმადლის, მისი ლიტერატურული ფსევდონიმი - პოეტ პოეტიშვილიც ამის დასტურია, ის თავის ლექსებს სწორედ ამ ფსევდონიმით სთავაზობს მკითხველს. ახლახან პაატას დავუკავშირდით, საინტერესო და ერუდიციით გამორჩეული ახალგაზრდა შემოქმედი გულახდილად გვესაუბრა.*

- რა არის ახალი თქვენს შემოქმედებაში?

- ვწერ ახალ „ვეფხისტყაოსანს“ და ვარქმევ „ლომისტყაოსანს“. „ლომისტყაოსნის“ დაწერა რუსთაველმა და გალაკტიონმა მიკარნახეს. რუსთაველი „ვეხისტყაოსანში“ ამბობს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“, ხოლო გალაკტიონმა ასეთი სტრიქონი დაგვიტოვა: „ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის“. ზოგადად, ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ეპიკოსები და ლირიკოსები ერთმანეთს ვერ იტანენ. მე, ძირითადად, ლირიკაში ვმოღვაწეობდი, მაგრამ არ მასვენებდა ნაციონალური ეპოსის შექმნის სურვილი და სულ მახსოვდა რუსთაველის და გალაკტიონის ზემოხსენებული ფრაზები. ამიტომ, ერთ დღესაც გადავწყვიტე, საკუთარ თავში შემერიგებინა ლირიკა და ეპიკა და ამით დამესრულებინა ლირიკოსების და ეპიკოსების ერთმანეთთან მეტოქეობა. ჩემი აზრით, დიდ ეპიკოს პოეტს გენიალური ლირიკული ნაწარმოების შექმნაც უნდა შეეძლოს და პირიქით. მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს პლატონის გენიალურ „ნადიმში“ სოკრატე, როცა აგათონს ეუბნება: დიდ ტრაგიკოს მწერალს ტრაგედიების დაწერაც უნდა შეეძლოს და კომედიებისაცო და პირიქით. ჩვენი ორი ბუმბერაზი პოეტიდან, რუსთაველი ეპიკის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმაა, გალაკტიონი - ლირიკის ევერესტი, ქართული პოეზია კი ჰიმალაის მთათა სისტემას მაგონებს. ერთმა ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ ასეთი რამ თქვა საქართველოზე: „ღმერთმა საქართველო იმიტომ გააჩინა, რომ პოეზიას სამშობლო ჰქონოდა“. როგორ გინდა, არ დაეთანხმო ასეთ ჭეშმარიტ და ობიექტურ შეფასებაში ბატონ უტიეს. ჩემი აზრით, საქართველო და ქართველი ხალხი პოეზიის წილხვედრი ქვეყანაცაა.

- თქვენს შემოქმედებაში მარიამული ციკლის ლექსებს (რომელსაც თქვენ მარიოლოგიური პოეზია უწოდეთ) რა ადგილი უკავია?

- მარიამული ციკლის ლექსებს, რომელთაც მეორენაირად „ღვთისმშობლის წილხვედრ პოეზიას“ ვუწოდებ, ჩემს შემოქმედებაში ყველაზე ამაღლებული, არამიწიერი, არამატერიალური ადგილი უჭირავს. პოეზია და სულიერი მიჯნურობა მატერიის გადალახვაში მეხმარება. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მარიამული ციკლის ლექსები და მუზა მუზაშვილის ციკლის ლექსები ერთი რეალური პიროვნების პროტოტიპია, რომელშიც ღვთისმშობლის სახეს ვხედავ.

- თქვენ დაასრულეთ პოემა „ღვინის აკვანი ვაზის გვირგვინით“. გვიამბეთ ამის შესახებ...

- ეს პოემა თავიდან ლექსის სახით იყო ჩაფიქრებული, მაგრამ როცა დავიწყე, ისე გამიგრძელდა წერა, რომ ლექსის საზღვრებს გასცდა და საბოლოოდ პოემის სახე მიიღო. 150 სტროფისაგან შედგება, რომლის ყველა სარითმო წყვილი ჰუპერდაქტილური და ნოვატორულია. პოემა „ღვინის აკვანი ვაზის გვირგვინით“ პირველად ორ ნაწილად დაიბეჭდა ეროვნულ ლიტერატურულ ჟურნალ „ისინდის“ ორ ნომერში. ასევე, დაიბეჭდა ჩემს პირველ პოეტურ კრებულში „ტიტა ფუჟერში“ ეპილოგად, დამაგვირგვინებელ და შემაჯამებელ ნაწარმოებად. „ღვინის აკვანი ვაზის გვირგვინით“ - ასეთი სიმბოლური სახით მინდოდა მეჩვენებინა მთელი მსოფლიოსთვის ღვინის აკვნის სამშობლო - ვაზის გვირგვინით. ღვინის და პოეზიის კავშირი კიდევ უფრო ამძაფრებს ადამიანში სულიერ თრობას, რაც მას უფრო მეტად ეხმარება, მატერიული სამყაროდან, დროებით, არამატერიალურ სამყაროში გადაინაცვლოს.

- „პობოდგაპო“ - თქვენს ამ ლექსში საუბრობთ ოთხ პოეტზე...

- დიახ, ოთხ პოეტზე, პო-ბოდგა-პო კი შემდეგნაირად იშიფრება: პო, ბოდლერი, გალაკტიონი და პოეტიშვილი. „პობოდგაპოთი“ ახალი პოეტურ-მითოლოგიური სახის შექმნა მსურდა, რომელიც ოთხსახიან ინუსად გვევლინება. ეს ოთხი პოეტი შემთხვევით არ შემირჩევია, მათი პოეტური და სულიერი სამყარო ერთმანეთთან ღრმად და ამაღლებულად არის დაკავშირებული. ბოდლერი ძალიან დიდხანს თარგმნიდა პოს შემოქმედებას ფრანგულად, გალაკტიონის შემოქმედებაში ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოს და ბოდლერს და მეც ეს სამი პოეტი ჩემი ლირიკული პოეზიის წინაპრებად მიმაჩნია, მათ შემოქმედებით გზას ვაგრძელებ, ასევე, ვცდილობ ახალი პოეტური გზების გაყვანას.

- „ლექსი მხოლოდ ანარეკლია იმისა, რაც ჩვენს შიგნით ხდება“ - თაგორის ამ შეხედულების თქვენეული გააზრება...

- თაგორის ამ გამონათქვამს სრულად ვიზიარებ. ჩემი აზრითაც, ლექსი პოეტის სულიერი სარკეა, რომელშიც მკითხველს ახედებს და მის სულიერ პორტრეტს აჩვენებს. რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებაში ძალიან მომწონს „გიტანჯალი“, რომელიც შესანიშნავად თარგმნა თამაზ ჩხენკელმა. ჩემი აზრით, „გიტანჯალი“ მსოფლიო პოეზიის საგანძურია. ამ გენიალური კრებულისთვის 1913 წელს ნობელის პრემიაც მიენიჭა.

- თქვენი პოეზიიდან ყველაზე უფრო რომელი ლექსი ხართ?

- ჩემი პოეზიიდან ყველა ლექსი ვარ, რაც შემიქმნია, უბრალოდ, ჩემი ლირიკული „მე“ მრავალ მეტამორფოზას - გარდასახვას, სახეცვლილებას განიცდის.

- როგორ შეაფასებთ დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებას, მიმდინარე პროცესებს? ჩვენი რეალობა რამდენად ასაზრდოებს და მოქმედებს ლიტერატურის განვითარებასა და ხარისხზე?

- თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ჰყავს ქართული სიტყვის ღირსეული მედროშეები, რომლებიც ქართულ სიტყვას აწრთობენ და ლიტერატურის სხვადასხვა ყალიბში ასხამენ. ასევე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თანამედროვე ქართული პოეზია ღირსეულ ადგილს დაიკავებს და წარუშლელ კვალს დატოვებს არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო პოეზიის რუკაზე. თანამედროვე ეპოქამ უფრო გაზარდა და კიდევ უფრო გაზრდის თანამედროვე ავტორების გეოგრაფიულ ცნობიერებას და კოსმიურ ფანტასმაგორიას.

- მრავალი ლიტერატორი უკმაყოფილოა, რომ ვოიაჟები, კონკურსები, ჯილდოები მხოლოდ პრივილეგირებულთა ხვედრია...

- დიახ, ეს ყველა ღირსეული ლიტერატორის, კრიტიკოსის, პოეტის ადეკვატური რეაქცია, პასუხია დღევანდელ ლიტერატურულ განუკითხაობაზე, რაც ხდება საქართველოში. სამწუხაროდ, დაყოფილნი არიან პატარ-პატარა ლიტერატურულ „საძმო-სადაქალოებად“, შემდეგ ატარებენ რაღაც ლიტერატურულ კონკურსებს, ფესტივალებს, სადაც მხოლოდ თავიანთ „საძმო-სადაქალოს“ იწვევენ და ამარჯვებინებენ, სადაც ჯილდოებიც და პრემიებიც მათია. მოდას აყოლილი და წერას ატანილი ავტორები ცდილობენ, ჩაწყობილი კონკურსებით, ნაყიდი სიგელებით თავი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში. საქართველოს ისტორიას ჰყავდა ერთი ასეთი ავანტიურისტი - სოლომონ აშორდია, რომელიც გლეხებს ყალბ თავადაზნაურობის სიგელებს ანიჭებდა გარკვეული თანხის სანაცვლოდ. სამწუხაროდ, ანალოგიური ვითარებაა დღეს ქართულ ლიტერატურაში. აშორდიების მსგავსი ავანტიურისტები ჰყიდიან ჩვენი სასიქადულო მწერლების სახელობის პრემიებს, ასევე, აარსებენ სხვადასხვა სახის ლიტერატურულ ტიტულებს, რომლებსაც, ძირითადად, ემიგრანტ და ტიტულომანიით შეპყრობილ ავტორებზე ჰყიდიან. ვერანაირი პრემია, ტიტული, სიგელი და კონკურსი ვერ უშველის ავტორს, თუ ის ჭეშმარიტი მწერალი არაა.

- მე-20 საუკუნის მწერლები და მეცნიერები კალმით წერდნენ, ახლა ნოუთბუქის კლავიატურაზე კრეფენ სიტყვებს. თქვენ როგორ წერთ?

- ახლა ამ ინტერვიუს პერსონალურ კომპიუტერზე ვწერ (ვკრეფ). ორივე საშუალებას ვიყენებ, გაარჩნია დროს და სიტუაციას. ჩემი აზრით, არანაირი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ავტორი რით ჩაიწერს თავის ნაწარმოებს - თიხის ფირფიტებზე, პერგამენტზე, ქაღალდზე, გუტენბერგის საბეჭდ მოწყობილობაზე თუ ვორდის პროგრამაში ან რა საშუალებით დაწერს - ბატის ფრთით, კალამ-კალმისტრით თუ კლავიატურით. მთავარია, ვინ წერს ტექსტს და როგორ ტექსტს სთავაზობს მკითხველს.

- რა გაწუხებთ და რა გახარებთ, დღევანდელობას როგორ აღიქვამთ?

- სამწუხაროდ, საწუხარი ბევრია ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოშიც. სტიქიური უბედურებები მძვინვარებს საქართველოში. ჯერ იყო შოვი, ახლა გურია... ცოცხლად დამარხული ადამიანები, რომლებმაც სტიქიას ვერ დააღწიეს თავი... მსგავს სტიქიას წლების წინ მე და ჩემი ძმა გადავურჩით თურქეთში, სადაც სეზონურად სამუშაოდ ვიყავით გადასულები, სადაც გვეძინა, იმ სახლში, შუაღამით, მეწყერი ჩამოწვა და საცხოვრებელი სახლის პირველი სართული მიწით გაივსო. დღევანდელმა ვითარებამ ის ღამე გამახსენა, რომელსაც საბედნიეროდ, გადავურჩით. მახარებს ჩვენი ქვეყნის ყოველი წარმატება, ეს იქნება ლიტერატურაში, სპორტში, კულტურაში, ხელოვნებაში თუ ნებისმიერ სხვა სფეროში.

- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და პირადად თქვენ?

- ჩემი აზრით და ღრმა რწმენით, სიყვარული ყველა ადამიანს მატებს სულიერ ძალას. მე ყველაზე მეტად სულიერ ძალას პოეზია და სიყვარული მმატებს. პოეზია და სიყვარული ჩემთვის სულიერი მარხვა და სულის ვარჯიშია.

- წიგნი თქვენს ცხოვრებაში... მისი მომავალი როგორ გესახებათ?

- არსებობს ასეთი ფრანგული გამონათქვამი: „კარგი წიგნები ზრდიან ადამიანებს (ადამიანები კარგ წიგნებზე იზრდებიან)“. წიგნი ბავშვობიდან შემაყვარა დედამ. როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდი კითხვა, ქართულ და მსოფლიო ხალხთა ზღაპრებს და „ვეფხისტყაოსანს“ მიკითხავდა. თითქმის ყოველდღიური შეხება მაქვს წიგნთან და სულ ვკითხულობ. ამ ბოლო ხანს, რაც მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის გვერდის მართვა დავიწყე, სულ ვეძებ და ვეცნობი ძველ და ახალ პოეტურ კრებულებს, ანთოლოგიებს და ვაცნობ მკითხველებს. სამწუხაროდ, დღეს ახალი თაობის წარმომადგენლებს წიგნთან გაუცხოებას ვამჩნევ, რაზეც, გარკვეულწილად, კომპიუტერული და ტექნოლოგიური ეპოქაც მოქმედებს, ამიტომ წიგნების პოპულარიზაცია უნდა ხდებოდეს. მეტი ადამიანი უნდა დავაინტერესოთ წიგნის კითხვით, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალზე დადებითად აისახება. ბეჭდური წიგნები მალე, ალბათ, სამუზეუმო ექსპონატებად გადაიქცევა და მას ელექტრონული წიგნები ჩაანაცვლებს, მაგრამ რა სახითაც უნდა იყოს იგი წარმოდგენილი, თავის საგანმანათლებლო ფუნქციას არასოდეს დაკარგავს.

- როგორ ფიქრობთ, რა ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ და რა უარვყოთ?

- საქართველო დიდი ტრადიციების ქვეყანაა და, დიდწილად, ამ ტრადიციების დაცვამ და მისმა შენარჩუნებამ გადაარჩინა ჩვენი მრავალმტრიანი და ბედკრული სამშობლო. უნდა უარვყოთ სისხლის აღების ტრადიცია, რომლის გამოვლინება თითქმის აღარც არსებობს. უნდა შევინარჩუნოთ სტუმართმოყვარეობის, სუფრის, ქართული ცეკვისა და ხალხური სიმღერების ტრადიცია, ასევე, ქართული ნაციონალური სამოსი - ჩოხა-ახალუხი, კიდევ ბევრი ქართული ტრადიციის ჩამოთვლა შეიძლება. რაც მთავარია, უნდა შევინარჩუნოთ ქართული ტრადიციული ლექსი და კიდევ უფრო განვავითაროთ მისი საზღვრები, რის საშუალებასაც ქართული ენა იძლევა. საერთოდ, ქართული ენა პოეზიის ენად მიმაჩნია, რადგან მას პოეზიისთვის დამახასიათებელი უნიკალური და იდეალური კეთილხმოვანება აქვს.

- როცა მარტო რჩებით, რა არის თქვენი ფიქრის საგანი?

- სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანს მარტოდ ხშირად ვრჩები. მარტოობა ჩემი ერთგული მეგობარია. რაც შეეხება ჩემი ფიქრის საგანს, ეს ძირითადად, პოეზიაა, სხვა ვერაფერზე ვფიქრობ, ისე ღრმად არის შემოჭრილი ჩემში პოეტური ფიქრი და პოეზიით მოგზაურობა ფიქრთა სამყაროში.

- ჩვენი ქვეყნის მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?

- ქვეყნის მომავალი ჩვენს ხელშია. როგორ აწმყოში ცხოვრებასაც შევეგუებით, ისეთი მომავალი ექნებათ ჩვენს შვილებს. საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია, უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა და მისი დაცვა, მაქსიმალურად უნდა გავისარჯოთ ქვეყნის მომავლისთვის და ისეთი საოცნებო ქვეყანა ავაშენოთ, რომ მაგალითი და მისაბაძი გახდეს სხვებისთვის.

- ფრაზა, რომლითაც დაამთავრებდით ამ საუბარს...

- სიყვარული - უპირველეს ყოვლისა.

„სამწუხაროდ, დაყოფილნი არიან პატარ-პატარა ლიტერატურულ „საძმო-სადაქალოებად“, შემდეგ ატარებენ რაღაც ლიტერატურულ კონკურსებს, ფესტივალებს, სადაც მხოლოდ თავიანთ „საძმო-სადაქალოს“ იწვევენ და ამარჯვებინებენ, სადაც ჯილდოებიც და პრემიებიც მათია. მოდას აყოლილი და წერას ატანილი ავტორები ცდილობენ, ჩაწყობილი კონკურსებით, ნაყიდი სიგელებით თავი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში

ბათუმი ამ საერთაშორისო გამოფენას მეთერთმეტედ მასპინძლობს

მე-3 გვერდიდან

საერთაშორისო კომპანია მონაწილეობს. თქვენ სამი დღის განმავლობაში დაგხვდებათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ინვენტარი, სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასათბურე მეურნეობისა და სათბურის აღჭურვილობა, მეტეოროლოგიური საზომი და მელიორაციის სისტემები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, რძის პროდუქტების, ჯემების, მურაბების მწარმოებელი კომპანიების პროდუქცია, ასევე ფართოდ იქნება წარმოჩენილი მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეცხოველეობა, შესაფუთი მასალები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები, - გვითხრა საერთაშორისო საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ექსპოს“ მენეჯერმა მაგდა პაქსაძემ.

გამოფენის მხარდამჭერია: აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“, „აწარმოე საქართველო“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (მუსაიდი), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, აჭარის ტელევიზია, TV 25 და გაზეთი „აჭარა“.

გამოფენა ოფიციალურად 8 ოქტომბერს დაიხურება. დასწრება თავისუფალია.

„ყველას შეუძლია ჯადოსნობა – მოყვეს საინტერესო ამბავს ჩვეულებრივი სმარტფონის დახმარებით“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევმა მეორედ უმასპინძლა სმარტ-ფილმების საერთაშორისო ახალგაზრდულ ფესტივალ „სინეფოუნ-აჭარას“. ფესტივალის ჟიურის წევრებს შორის იყო მომავალი რეჟისორი, თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ***ეთერ ფარჩუკიძე.*** *მას შუახევში ვესაუბრეთ*

- რა მიზანს ემსახურება ვახტანგ გოგრაჭაძის ეს წამოწყება?

- მსოფლიოში მზარდი ეგრეთ წოდებული სმარტფილმების ინდუსტრიის განვითარებას არა მარტო საერთაშორისო, არამედ ლოკალური, რეგიონული მასშტაბით ყურადღება ექცევა. დიდი ხანია, რაც წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები სმარტფონების სახით სუპერჭკვიან მოწყობილობებს ჩუქნიან კაცობრიობას, რომლებიც ყოველდღიურად არა მარტო თან გვახლავს, არამედ მან რევოლუცია მოახდინა თანამედროვე ხელოვნების ახალ სივრცეებში, მათ შორის კინოსამყაროშიც. ჩვენ უამრავი საოცარი ნამუშევარი ვიხილეთ როგორც მოყვარული, ისე აღიარებული რეჟისორებისგან, რომლებმაც თავიანთი ფილმები გადაიღეს არა კლასიკური „დიდი“ კამერებით, არამედ სმარტფონებით, რომლებსაც ყოველდღე ვატარებთ. რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივი კინოკამერებით შექმნილი ფილმის მაგიას ვერაფერი ჩაანაცვლებს, მაგრამ გვჯერა, რომ რაღაც ახალი და საინტერესო შეიძლება არსებობდეს დიდებულ ტრადიციულ პირველწყაროსთან ერთად. გვჯერა, რომ ხელოვნება და კინო უნივერსალური და დემოკრატიულია და რომ ყველას შეუძლია ჯადოსნობა, მოყვეს საინტერესო ამბავს ჩვეულებრივი სმარტფონის დახმარებით. გვსურს, აჭარის პატარა, ლამაზ ნაწილში არსებული ფესტივალით მონაწილეობა მივიღოთ ამ ახალი წამოწყების განვითარებაში როგორც ქართული, ისე უცხოური სმარტფილმების გაერთიანებით. ამას გარდა, სურვილი გვაქვს, განვავითაროთ კინემატოგრაფიული შესაძლებლობები და კინოს ქვეყნის მთიან რეგიონებში გავუწიოთ პოპულარიზაცია. ამას ემსახურება „სინეფოუნ-აჭარა“. მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ ფესტივალში.

- ფესტივალზე ქართველმა და უცხოეთის 10 ქვეყნის ახალგაზრდებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს. მათგან 20 ფილმი რა პრინციპით შეარჩიეთ?

- ყველა ფესტივალს აქვს თავისი კონცეფცია და პოლიტიკა. ჩვენი კრიტერიუმი, პირველ რიგში, აუცილებლად ტელეფონით (სმარტფონით და არა ჩვეულებრივი კინოკამერით) გადაღებული ფილმების არჩევა იყო. შემდეგ ყურადღება მიექცა ფილმების ხარისხს სხვადასხვა ასპექტში - რეჟისორის ხედვა, ოპერატორის ნამუშევარი, იდეის და სცენარის ორიგინალურობა და რამდენად საინტერესოდ და ორგანულად იყო სათქმელი გადმოცემული, როგორ თამაშობდნენ მსახიობები და ასე შემდეგ. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რადგან ორმაგად საპასუხისმგებლოა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა, არ გინდა, ვინმეს გული დასწყვიტო. მთლიანობაში, კარგი პროგრამა შედგა. აქვე დავსძენ, რომ შარშანდელთან შედარებით წელს 300%-ით გაიზარდა შემოსული ფილმების რაოდენობა, ეს კი ორი წლის ფესტივალისთვის, თან რეგიონულისთვის, საკმაოდ კარგი შედეგია.

- წილად გხვდათ პატივი, გემუშავათ იმ საორგანიზაციო გუნდში, რომლის ხელმძღვანელი და დირექტორი „პიონერფილმის“ სულისჩამდგმელი გრიგოლ ჩიგოგიძეა. მასთან მუშაობამ რა მოგცათ?

- თუ რაიმე ცოდნა და გამოცდილება მაქვს კინოფესტივალებთან მიმართებაში, ეს სწორედ გრიგოლ ჩიგოგიძის, ანუ გრიშა მასწავლებლის დამსახურებაა. მეათეკლასელ მოსწავლეს მანდო რეგიონში პირველად დაარსებული საერთაშორისო ახალგაზრდულ კინოფესტივალ „თბილისური აისის“ (1979 წელს დააარსა) პიარ-მენეჯერობა და უცხოელ მონაწილეებთან მოლაპარაკებები. თვით დიდი ჩარლი ჩაპლინის შვილი ჯერალდინა ჩაპლინიც კი მყავდა დაინტერესებული ჩამოსვლით. კინოფესტივალთან დაკავშირებული ბევრი რამ, ვთქვათ, პიარმენეჯერობის, სოციალური ქსელების მართვისა და მიმოწერების შესახებ ცოდნა თავად შევიძინე, პრაქტიკული გამოცდილება კი ამ საქმეზე უშუალოდ გრიშა მასწავლებლმა გამიზიარა. ეს მოიცავს აბსოლუტურად ყველა დეტალს კინოფესტივალის მომზადება-ჩატარებასთან დაკავშირებით, მისი კონცეფციის ჩასახვიდან

დაწყებული, პოსტსაფესტივალო პროცესებით დამთავრებული.

- აჭარის მთიანეთს პირველად სტუმრობდით. რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?

- აღფრთოვანებული ვარ აქაურობით. ორ საათში ზღვიდან მთაში ხარ და - პირიქით. ახალი ბათუმიც პირველად ვნახე. ბოლოს რომ ვიყავი ამ ქალაქში, ძალიან პატარა გახლდით, მთიანი აჭარა კი ზუსტად ისეთივე დამხვდა, როგორიც წარმომედგინა - სიმწვანით, დიდი მთებით... პატარა, საყვარელი შუახევი სიმწვანეში ჩაფლულა. ყველაზე მეტად მომწონს, ადამიანი ბუნებასთან თანაცხოვრებას რომ ახერხებს და მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს ამკვიდრებს მასში, მაინც არ ეხება ბუნების ავთენტურ იერსახეს, არ აზიანებს მას. იმედია, გაისად უფრო მეტად გავეცნობი მთიან აჭარას.

- დამწყებ კინოხელოვანებსა და თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა თითქმის არ არის. მათ რას უსურვებდით?

- ქართველ ბავშვებს რამდენადაც აქვთ ნიჭი (მადლობა ღმერთს, ქართველი ნიჭს არასოდეს უჩივის), იმდენად აკლიათ შემართება და მონდომება და, რაც მთავარია, თვითდისციპლინა. ხელოვნებას დაძალება არ არგებს, მაგრამ მასთან სისტემატური შეხება, თუნდაც ყოველდღიური პატარ-პატარა შემოქმედებითი საქმიანობა აუცილებელია: პატარა მოთხრობების, ჩანახატების წერა, ხატვა, ბოლო-ბოლო, კინოფილმების ყურება, რეცენზიების გაცნობა. დღეს ისე, როგორც არასდროს, ვართ მოსახერხებელ და იღბლიან მდგომარეობაში - გვაქვს კინოთეატრები, ინტერნეტი, ხელმისწვდომია ზღვა კინომასალა, რომლის გამოყენება მრავალმხრივად შეიძლება. არსებობს დიდი კლასიკოსების და ოსტატების ნამუშევრები, რომლებსაც შეუძლიათ ეზიარონ და თუნდაც, ინსპირაციად აიღონ. მთავარია, მოინდომონ და გადალახონ უხერხულობა, რიდი და, გარკვეულწილად, დაზარებაც. ეს უწყვეტი პროცესია, რომლითაც სულ ძიებაში უნდა იყო და ეცადო, შენს თავში დამალულ მარგალიტებს მიაკვლიო და სამზეოზე გამოიტანო.

- ფესტივალის ორგანიზებასა და რეგიონის ხელისუფლების დამოკიდებულებაზე რას გვეტყვით?

- პირველ რიგში, აღსანიშნავია მონდომება, ნდობა და იმედი იმისა, რომ ეს საქმე დადებით გავლენას მოახდენს ახალგაზრდების და რეგიონის მომავალზე. სასიამოვნო იყო, რომ ადგილობრივი მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ბოლომდე დაესწრნენ საღამოს და ასე გამოხატეს პატივისცემა და მხარდაჭერა ფესტივალის მიმართ.

- მწვავე კრიტიკა გამოითქვა ქართულ სინამდვილეში უცხოური ტერმინების, სახელწოდებების დამკვიდრების გამო...

- რამდენადაც მეც განვიცდი ქართულ ენაში ბარბარიზმის ახალი ტალღის შემოჭრას (ადრე რუსული იყო, ახლა ინგლისურია), მეტწილად მსურს, გავემიჯნო კრიტიკას ფესტივალის სათაურთან დაკავშირებით, რადგან ის, პირველ რიგში, საერთაშორისოს სტატუსს ატარებს და უნდა ერგებოდეს საერთაშორისო კონცეფციას. ფესტივალი პირველ წელს „აჭარული ამბების“ სახელით წარსდგა, რაც ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ ზღუდავდა გავრცელების არეალს და უცხო ყურს რომ მოესმინა, იფიქრებდა, რომ მხოლოდ აჭარის რეგიონის ახალგაზრდებს შეეძლოთ მონაწილეობა. ჩვენ მალევე მივხვდით, რომ თუ საერთაშორისო ასპარეზზე გვინდოდა გასვლა, სახელწოდება მხოლოდ ლოკალური დაინტერესების ფარგლებში არ უნდა დარჩენილიყო. ახლა ყველაფერი სოციალურ ქსელებსა და პიარზეა დამოკიდებული. ბევრი ფესტივალი საძიებო სისტემით მიიგნება, მათ შორის, სიტყვების კომბინაციით. წარმოიდგინეთ, გსურთ კონკრეტულად მოიძიოთ ფესტივალი, რომელიც მხოლოდ ტელეფონით გადაღებულ ფილმებს ეხება: პირველ რიგში, როგორ მოვძებნით? კინოფესტივალი და ტელეფონი, ჩავწერთ „ფოუნს“, ფესტივალის და ტელეფონის კომბინაციაში ადვილად გამოჩნდება ფესტივალები, რომლებსაც მსგავსი სიტყვები აქვთ სათაურში. „აჭარული ამბები“ ზღუდავს ამ არჩევანით მოძიების საშუალებას. აჭარაც, სამწუხაროდ, უცხოელი საზოგადოებისთვის უცნობია (საქართველოც კი დღემდე ამერიკის ჯორჯიის შტატი ჰგონია ბევრს). ჰოდა, სწორედ ამით გავთვალეთ მარკეტინგული „ხრიკი“ - „ფოუნი“, ანუ ტელეფონი, მყისიერი დაინტერესება და სწრაფი მოხვედრა ყურადღების ცენტრში. ტელეფონი, ფესტივალი და, რა თქმა უნდა, აჭარა - ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი კომბინაცია შეიკრა. და თუ რამ ფასდება დღევანდელ დღეს, განსაკუთრებით უცხოეთში, თან ასეთ დატვირთულ და კონკურენტუნარიან სფეროში, ეს სწორედ სწრაფი ყურადღების მიპყრობა, ლაკონურობა და ორიგინალურობაა. სწორედ აქეთკენ წავედით ჩვენც. „აჭარული ამბები“ თავისებურად საინტერესო და საყვარელი სათაურია, თუმცა ჩვენ ხომ უფრო ფართო მასშტაბზე გვინდა გასვლა. სხვათა შორის, არ ვაპირებთ „აჭარული ამბების“ დაკარგვას, გვსურს, ფესტივალის გაზრდასთან ერთად, მისი კონცეფცია და მასში შემავალი პროგრამა-ღონისძიებები გავზარდოთ და ერთ-ერთ მათგანს შევუნარჩუნოთ ეს სახელი, ანუ ერთგვარი საფესტივალო რუბრიკა შევქმნათ, რომელსაც ეს სახელი ექნება. იმედია, გაისად, „სინეფოუნ-აჭარასთან“ ერთად, „აჭარული ამბებიც“ დაიმკვიდრებს თავს.

- ფესტივალზე სიტყვით გამოსვლისას გარკვეული ადგილი მობილური ტელეფონებით გადაღებულ ფილმებს დაუთმეთ. ეს იდეა კინოს ხარისხს რამდენად დააქვეითებს?

- ჩვენ გვჯერა, რომ ხელოვნება, კინო უნივერსალური და დემოკრატიულია, ყველას შეუძლია მოყვეს საინტერესო ამბავს ჩვეულებრივი სმარტფონის დახმარებით. ეს ვიხილეთ კიდეც ერთ-ერთი გრანპრის მფლობელის, საბა ბოდოკიას „რაობაში“, რომელმაც აიფონით გადაიღო და შემდეგ უკვე პროფესიონალურად, აიფონშივე დაყენებული სამონტაჟო პროგრამებით შემოგვთავაზა ტარკოვსკის, ბერგმანის და ფარაჯანოვისეული ხედვების ორიგინალური ნაზავი, ასე რომ, თუ ტელეფონი პროფესიონალის და კარგი ხედვის მქონე ადამიანის ხელშია, კინოხელოვნებას გაუბრალოება არ ემუქრება.

- თავად თუ გიცდიათ ფილმის გადაღება ან რეჟისორობა?

- მქონია სურვილი, თუმცა არასდროს მიცდია. ჩემს შესაძლებლობებს უფრო სცენარისტის ამპლუაში ვხედავ. მიყვარს ამბების მოყოლა და მცირე ისტორიებისა და ნოველების წერა.

- თანამედროვე ქართველი და უცხოელი რეჟისორებიდან ვის შემოქმედებას ეთაყვანებით?

- „ვეთაყვანები“ ცოტა დიდი სიტყვაა, მაგრამ თუ ვინმე მიყვარს და პატივს ვცემ გამორჩეულად, პირველ რიგში, ეს ნანა ჯორჯაძეა არა მარტო თავისი პროფესიული, არამედ პიროვნული სამყაროთი. თუ ოდესმე რაიმეს მივაღწევ კინოში, მსურს, ეს წარმატება ქართული კინოსამყაროდან, პირველ რიგში, მას მივუძღვნა და მან იამაყოს ჩემით. ქართული კინო საქართველოს სახელით ერთხელ იყო „ოსკარზე“ წარდგენილი და ისიც - მისი ფილმით. ზოგადად, მიმაჩნია, რომ მსოფლიო კინოში არცთუ ხშირია ისეთი მოვლენა, საკმაოდ ღირსეული და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ქვეყნის კინემატოგრაფში ქალს ეკავოს - როგორც ეს ჩვენთანაა, მაგალითად: ლანა ღოღობერიძე, ნანა ჯანელიძე. მამაკაცებს რაც შეეხებათ, ძალიან საინტერესონი არიან გიორგი ოვაშვილი, დიტო ცინცაძე, საოცარი ხედვა აქვს ალეკო ცინცაძეს, აღფრთოვანებული ვარ აწ განსვენებული ზაზა ხალვაშის ფილმით „ნამე“, რომელიც, ჩემი აზრით, თანამედროვე ქართული კინოს ერთ-ერთი შედევრია. უცხოელი რეჟისორებიდან აუცილებლად უნდა აღვნიშნო ვონკარ ვაი (დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი მის ნეონებით განათებულ, მელანქოლიური სიყვარულით სავსე სამყაროში), ჰაიაო მიაძაკის ჯადოსნური იაპონური სამყარო (ძალიან მიყვარს აღმოსავლეთ-აზიის, განსაკუთრებით კი იაპონელი და კორეელი კინემატოგრაფები), ცოცხალი ლეგენდები - სტივენ სპილბერგი და მარტინ სკორსეზე. მგონია, რომ მათსავით ღირსეული და „დიდი“ იქნება ქრისტოფერ ნოლანი. სხვა ბევრი რეჟისორია კიდევ, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

- ზოგჯერ ახალგაზრდები მომავალ პროფესიას სხვისი რეკომენდაციით ირჩევენ. თქვენ არჩევანი რის საფუძველზე გააკეთეთ?

- სხვისი რეკომენდაციით არჩეულ პროფესიას მხოლოდ წვალება და დიდი უკმაყოფილება მოაქვს, მაგალითებიც, სამწუხაროდ, ბლომად გვაქვს. ახალგაზრდებმა უნდა მოისმინონ სხვადასხვა მოსაზრება, ვარიანტები და თავად შეაჯერონ საბოლოო არჩევანი, რადგან ეს მათი მომავალია, გზა თავად უნდა გაიარონ და იცხოვრონ, მათ მაგივრად სხვა ამას ვერ იზამს და არც უნდა ქნას (და, რა თქმა უნდა, საღი და ობიექტური აზრიც გაითვალისწინონ). პირიქით, ოჯახიდან დაწყებული, მთელი გარემოცვა მის მხარდაჭერას და დახმარებას უნდა ცდილობდეს. ყოველთვის ვიცოდი, რომ ხელოვნების სფეროსთვის უნდა მიმეძღვნა თავი. ეს, ალბათ, მამის მხარის დამსახურებაა, რომლებიც მუსიკოსები და ხელოვანები არიან. მამა თბილისის ცნობილი ბავშვთა კაპელის ხელმძღვანელი გელა ფარჩუკიძეა. დედის მხარე უფრო ტექნიკურ-მეცნიერულ სფეროშია, თუმცა მათთანაც ურევია მუსიკა და ხელოვნება. ორივეს ჰქონდა თავისი ვერსიები, თუ სად მხედავდნენ პროფესიულად, თუმცაღა ორივემ იცოდა, რომ ხელოვნების რაიმე სფერო უნდა ამერჩია და ისინი ბოლომდე მომყვებოდნენ, მხარს მიჭერდნენ ყველაფერში. დიდი ფიქრის შემდეგ, ეროვნულ გამოცდებამდე 3 თვით ადრე, გადავწყვიტე, ჩამებარებინა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კინოს განხრით და ასე გავხდი კინომცოდნე და ერთი წამითაც არ მინანია, რადგან თუ რამე ძალიან მიყვარს, ეს სწორედ კინოა, მთელი თავისი ჯადოსნობით, რომელიც ყველაზე მეტად აერთიანებს ხელოვნების დარგებს და ყველაზე მრავლისმომცველი აუდიო-ვიზუალური მიმართულებაა.

- მომავალ რეჟისორს ამორჩეული თუ გყავთ მწერალი ან დრამატურგი, რომლის ნაწარმოების ეკრანზე გამოსატანად თადარიგს იჭერთ?

- სიმართლე გითხრათ, ასე კონკრეტულად არავინ მყავს გათვალისწინებული. პირიქით, ცოტა „ეგოისტურად“ მსურს, საკუთარი იდეები გავაცოცხლო და ნაკლებად ცნობილი ისტორიები გამოვიტანო მზის სინათლეზე. თუ ვინმეს ავირჩევ, პირველ რიგში, ეს ქართველი ავტორი იქნება, რადგან თუ რამეს არ ვუჩივით ქართველები, ეს სწორედ ნიჭია და ამბის მოყოლის ხელოვნების ცოდნა. წინ დიდი გზა მაქვს და დარწმუნებული ვარ, ასეთი ისტორიები ახალგაზრდა, დამწყები და უცნობი მწერალ-დრამატურგებისგან აუცილებლად გამოჩნდება, ბევრ საინტერესო იდეას და ამბავს გადავეყრები, რომელთა გაცოცხლებასაც შევძლებ ეკრანზე.

> ***„ქართველ ბავშვებს რამდენადაც აქვთ ნიჭი (მადლობა ღმერთს, ქართველი ნიჭს არასოდეს უჩივის), იმდენად აკლიათ შემართება და მონდომება და, რაც მთავარია, თვითდისციპლინა. ხელოვნებას დაძალება არ არგებს, მაგრამ მასთან სისტემატური შეხება, თუნდაც ყოველდღიური პატარ-პატარა შემოქმედებითი საქმიანობა აუცილებელია: პატარა მოთხრობების, ჩანახატების წერა, ხატვა, ბოლო-ბოლო, კინოფილმების ყურება, რეცენზიების გაცნობა***

ხსოვნა

მიხეილ მახარაძე

2023 წლის 4 ოქტომბერს, 77 წლის ასაკში, ჩვენი ქვეყნის მამულიშვილთა რიგებს გამოაკლდა გამორჩეული მწერალი, პუბლიცისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ მახარაძე.

დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში, ქაზიმ მახარაძის ოჯახში. 1961 წელს მიხეილმა დაამთავრა ფაჩხის რვაწლიანი, ხოლო 1964 წელს - ყინჩაურის საშუალო სკოლა. 1965 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობაზე, რომელიც 1970 წელს დაამთავრა, 1979 წელს კი ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გერმანული ენის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის (1977 წლიდან სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი) ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“. ის პირველი მეცნიერებათა დოქტორია ხულოს რაიონიდან. აკადემიკოს შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ მიხეილ მახარაძე 1994-2006 წლებში ფილოსოფიის ინსტიტუტში ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2007-2010 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და პარალელურად ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის მთავარი რედაქტორი. 1992-2006 წლებში მიხეილ მახარაძე გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი, 2000-2006 წლებში - ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, 2013 წლიდან კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

მიხეილ მახარაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. მისი კვლევების მთავარი სფეროებია: ქართული და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, რენესანსის, ჰუმანიზმის და ქართული რენესანსის საკითხები, კულტურის ფილოსოფია. მიხეილ მახარაძის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები“ (1983 წ.), „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები“ (1986 წ.), „წერილები ქართულ ფილოსოფიაზე“ (1988 წ.), „□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□“ (1991 წ.), „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში“ (1999 წ.), „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები“ (2009 წ.), „არეოპაგიტიკა“ (2011 წ.), „ფილოსოფიური ეტიუდები“ (2015 წ.), „ძიებანი ქართული ფილოსოფიის თემებზე“ (2015 წ.), „თანამედროვე ქართული ფილოსოფია“. ნარკვევები (2020 წ.), „ფილოსოფია მოზარდთათვის“ (მე-4 გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემა (2020 წ.), „შალვა ხიდაშელი“ (2021 წ.), „შალვა ნუცუბიძე სხვა რაკურსით“ (2022 წ.) და სხვა.

მიხეილ მახარაძეს 60-მდე სტატია და წერილი აქვს მიძღვნილი ქართველ ფილოსოფოსებზე - პეტრე იბერითა და იოანე პეტრიწით დაწყებული, თანამედროვე ქართველი ფილოსოფოსებით დამთავრებული. მიხეილ მახარაძის ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომები ქართულ ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკაზე ინახება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, კოლუმბიისა და ჰიუსტონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. მონოგრაფიების და წიგნების გარდა, მიხეილ მახარაძე არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული და პუბლიცისტური კრებულების, თარგმანებისა და 500-მდე პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი სამეცნიერო ნაშრომები, მშობლიური ქართულის გარდა, გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და უკრაინულ ენებზე, მათ შორის ისეთ პრესტიჟულ გამოცემაში, როგორიცაა სამსაუკუნოვანი გამომცემლობა „ბრილი“ (აშშ).

მიხეილ მახარაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ნეოპლატონიზმის, არეოპაგიტიკული მოძღვრების, იოანე პეტრიწის ფილოსოფიის და რენესანსის საკითხებისა და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის შესწავლა-დამუშავებაში. ამ მხრივ მისი მიღწევებიდან აღსანიშნავია:

1. ქართულ მეცნიერებაში (და არამხოლოდ ქართულში) მან პირველმა, ყოველმხრივ გამოიკვლია არეოპაგიტიკა, რომელიც რენესანსის მთავარ მსოფლმხედველობრივ წყაროდ ითვლება, კერძოდ: არეოპაგიტიკის წყაროები, მისი ფილოსოფიური შინაარსი და გავლენები ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაზე; ცხადად აჩვენა, თუ რის საფუძველზე შეიძლება არეოპაგიტიკური მოძღვრება ჩაითვალოს რენესანსის ერთ-ერთ მთავარ მსოფლმხედველობრივ საფუძვლად.

მანვე თავისი ნაშრომებით გააძლიერა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომლის თანახმად, არეოპაგიტიკული თხზულებების ნამდვილი ავტორია ქართველი საეკლესიო მოღვაწე პალესტინაში - პეტრე იბერი (411-491 წწ);

2. იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში გამოკვეთა სამი ორიგინალური პუნქტი, რომლებიც არ გვხვდება სხვა ფილოსოფოსებთან, კერძოდ: 1) ღმერთისა და მატერიის მსგავსება ერთიანობის თვალსაზრისით; 2) ღმერთში არსებათა უკუდაბრუნება მისკენ მისწრაფების ჩაუქრობელი სურვილით; 3) შედეგებიდან მიზეზის წარმოუშობლობა, რაც ხუთი საუკუნის შემდეგ დეკარტთან ღმერთის არსებობის დასაბუთების არგუმენტის საფუძველი გახდა;

3. პირველად მის მონოგრაფიაში „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები“ (2009 წ.) გადმოცემულია რენესანსის პრობლემატიკა სრულყოფილად. ამასთან, ლაკონურობით, სიცხადითა და ნათელი სტილის გამო, ეს ნაშრომი სტუდენტების სახელმძღვანელოდაც გამოიყენება. გამორჩეული და განსაკუთრებულია მიხეილ მახარაძის ხელმძღვანელობით მომზადებული და ორჯერ (1996-2010 და 2013 წწ) გამოცემული ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია (IV-XXI საუკუნეების დასაწყისი) ოთხ ტომად, რისთვისაც 2011 წელს მას მიენიჭა ქართული მეცნიერების უმაღლესი ჯილდო - ეროვნული პრემია მეცნიერებაში.

2009 წელს მიხეილ მახარაძეს წიგნისთვის „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა“ (2004 წ.) მიენიჭა აკად. შალვა ნუცუბიძის სახელობითი პრემია ფილოსოფიაში. სხვადასხვა დროს მიხეილ მახარაძე ლექციებს კითხულობდა თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აგრარულ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რობაქიძის უნივერსიტეტში. 1993 წლიდან მიხეილ მახარაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მისი მოთხრობები, ნოველები და ჩანახატები დაბეჭდილია სხვადასხვა ჟურნალში. მიხეილ მახარაძე ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს 500-მდე წერილი და 6 კრებული, რომელთაგან ერთს - „ავანტიურა აჭარის სახელით“ 2004 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში (პუბლიცისტიკა).

მიხეილ მახარაძე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. 2004-2008 და 2008-2012 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს V და VIII მოწვევის პარლამენტის წევრი. დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით: ღირსების ორდენით (2004 წ.), ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა (2007 წ.) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2012 წ.) ორდენებით.

2008-2012 წლებში მიხეილ მახარაძე არჩეულ იყო ევროსაბჭოს შავი ზღვის ევრორეგიონის კონგრესის ვიცეპრეზიდენტად.

მას 2021 წლის 13 ნოემბერს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მისმა თანაუნივერსიტეტელმა და მეგობარმა, ცნობილმა მეცნიერმა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეულმა წარმომადგენელმა, პროფესორმა ნოდარ ბარამიძემ მეგობრის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა წიგნი „მიხეილ მახარაძე - 75“. მიხეილ მახარაძის, როგორც გამოჩენილი ფილოსოფოსის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის შესახებ მასალები იხილეთ პროფესორ ნოდარ ბარამიძის წიგნში „მიხეილ მახარაძე - 75“.

წავიდა ჩვენგან დიდი მამულიშვილი, რომელიც გამოირჩეოდა უბრალოებით, თავმდაბლობით, ზნეობით, კაცთმოყვარეობით... მისი სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდება მის შემოქმედებით მემკვიდრეობაში.

მის სახელსა და საქმეებს არ დაივიწყებს ქართველი ხალხი.

ალიოშა ბაკურიძე,
ნოდარ ბარამიძე, სერგო დუმბაძე,
ონისე თურმანიძე

ემიგრანტის „სხვა“ საქართველო და ემოციები, რაც უცხოეთში ცხოვრებას ახლავს

მე-4 გვერდიდან

ძალიან რთულია, არ გარდაიცვალო სიცოცხლეში თუნდაც იმ დროს, როცა ძალიან გინდა შვილს ჩაეხუტო და ვერ ეხუტები. აღნიშნულ წიგნში, ჩემს ემიგრაციაში გატარებულ წლებთან ერთად, ძალიან ბევრი ადამიანის ცხოვრებაზე ვისაუბრებ, ემიგრანტებზე, რომლებმაც წლების შემდეგ გადაწყვიტეს, სამუდამოდ დაბრუნებულიყვნენ საქართველოში და აქ ჩამოსულებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი არავის სჭირდება, არავინ ელოდება. საკუთარ სახლებში ერთი ოთახიც კი არ აღმოჩნდა ისეთი, სადაც მშვიდად დაიძინებდნენ. ადგნენ და უთქმელად, შვილებთან, ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან გამოუმშვიდობებლად დაბრუნდნენ უკან. მათ შვილებს, მშობლებს, ოჯახის წევრებს ვეტყვი: ხალხო, მოეფერეთ ემიგრანტ ადამიანებს, მათ ეს ძალიან, ძალიან სჭირდებათ.

- იტალიაში მცხოვრები ემიგრანტებისგან მოგვისმენია, რომ ხვიჩა კვარაცხელიას წარმატების შემდეგ, ამ ქვეყანაში ქართველებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა, რა თქმა უნდა, დადებითისკენ.

- ჩვენ ვართ ახლობლები, ჩემი შვილიც კვარაცხელიაა, ხვიჩას პატარაობიდან ვიცნობ. ფოტოებს, ვიდეოებს რომ ვუყურებ, როგორ გაიზარდა, როგორ ჩამოყალიბდა პროფესიონალ ფეხბურთელად, სიხარულისა და სიამაყის განცდა მეუფლება. არაჩვეულებრივი ბებია ჰყავდა, რომელსაც ვეთაყვანებოდი, ისეთი ძლიერი და ღირსეული ქალბატონი იყო. ხვიჩას მშობლები - მაკა და ბადრიც უწესიერესი ადამიანები არიან, ძალიან მიყვარს მთელი ოჯახი. ხვიჩა დილის 6 საათზე რომ ადგებოდა, სულ ვარჯიშობდა, თავისი „ფათიაც“ იქვე ჰყავდა - საყვარელი ძაღლი, რომელიც სულ დაჰყვებოდა, ხანდახან კარებშიც კი აყენებდა, ვითომ მეკარედ და პენალტებს არტყამდა. მაკა ვარჯიშზეც სულ დაჰყვებოდა, ამბობდა, იმედი მაქვს, გაამართლებს ყველას მოლოდინს და წარმატებას მიაღწევსო, მე კი ვეუბნებოდი, ამ ბავშვს რაღაც ვარსკვლავური აქვს და აუცილებლად გამოანათებს-მეთქი. წლების შემდეგ, როცა ის აღიარებული ფეხბურთელი გახდა, გამახსენდა ჩემი ეს ნათქვამი. ბედნიერებაა, რომ ხვიჩასთან სისხლით ნათესაური კავშირი აქვს ჩემს შვილს და ცალკე ბედნიერებაა, რომ საქართველოს ჰყავს ხვიჩას სახით ელჩი იტალიაში. რაც მან გააკეთა იქ საქართველოსთვის, ქართველებისთვის, ვერავინ მოახერხა, ვერ გააკეთა. ვინც იცნობს მას, ყველა დამეთანხმება, რომ ხვიჩა არის საოცარი პიროვნება. ჩვენ ყველა ერთნაირად ვამაყობთ მისით და მადლობას ვეუბნებით იმ სიხარულისთვის, რომელსაც გვანიჭებს.

- რა გენატრებათ ყველაზე მეტად იტალიაში ყოფნისას?

- ჰაერი და მიწა. ყოფილა შემთხვევა, გაზაფხულზე, როცა დილის მზის სხივები მოჰფენია ნამიან მინდორს, წარმომიდგენია, იმ წამს როგორ დავდივარ ფეხშიშველი ქართულ მიწაზე და როგორ ვეფერები ყვავილებს. თვითმფრინავი რომ დაეშვა საქართველოში და ცივმა ჰაერმა დაუბერა, ასე მეგონა, ყველა ძარღვში გამიარა, ცრემლები წამომივიდა. სხვა საქართველოს, ასე თბილს და ასე ლამაზს, მართლა ვერსად ნახავთ. საქართველოა, რაც ყველას დაგვაბრუნებს აუცილებლად უკან. მჯერა, ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, ღირსეულად დავუბრუნდებით ჩვენს კუთვნილ ოჯახს.

- მსურს...

- გაბრწყინებული, გამთლიანებული და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს ხილვა, ძალიან მყარი და შემდგარი სახელმწიფოსი, საიდანაც არცერთ ქართველს არ მოუნდება ემიგრანტად წასვლა. მაღალმთიან აჭარაში, ფესტივალზე „ზე-კართან“ სტუმრად მყოფს, კიდევ ერთხელ დამეუფლა სიამაყის განცდა, რომ ერი, რომელსაც ამდენი კარგი მწერალი, პოეტი და, ზოგადად, ადამიანი ჰყავს, აუცილებლად იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას და მოიგებს ყველა „ომს“. მე საქართველოდან დიდი სიყვარული და სითბო მიმაქვს საგზლად, რომელიც დიდხანს მეყოფა. მიყვარხარ, საქართველოვ, მე დავბრუნდები!

შვილები ბექა, თამარი, ლევანი, ილია, შვილიშვილები, ბიძაშვილი რეზო, მამიდები შადიე, მერი, მოყვრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ქაზიმის ძე მახარაძე.

პანაშვიდი 6 X, 4 ს. გორგასლის ქ. №159, გამოსვენება 7 X, 3 ს. საკათედრო ტაძრიდან, დაკრძალვა ურეხში.

სერგო, დავით, ზებურ, ვაჟა დუმბაძეები, ონისე სურმანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ქაზიმის ძე მახარაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ამირან, ნოშრევან, ვლადიმერ მამულაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ ქაზიმის ძე მახარაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/10/23, 19 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია“...

ჩვენი ქალაქი 21 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალ „ბათუმის რაფსოდიას“ მასპინძლობდა. ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი ცნობილი საოპერო მომღერალი თამარ ივერი გახლავთ. შარშან ეს ფესტივალი სხვა ფორმატით და სახელწოდებით - „ოპერის ოქროს ხმა“ წარმატებით ჩატარდა. ფესტივალმა წელს კიდევ უფრო სიღრმისეული დატვირთვა შეიძინა

პროექტის მიზანი ახალგაზრდა მუსიკოსების მხარდაჭერა, მათი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებაა, შესაბამისად, გამორჩეულია ფესტივალის მესვეურთა ყურადღება ახალგაზრდა მუსიკოსებისადმი, განსაკუთრებით ქართველი მუსიკოსებისადმი. მათ შესაძლებლობა ეძლევათ, ადგილზე გაეცნონ პედაგოგიკის სხვადასხვა მეთოდს, გაიცნონ უდიდესი მუსიკოსები.

ბათუმში ლეგენდარული მომღერლები რობერტო სკანდუცი (ბანი, იტალია), ვესელინა კასაროვა (მეცო-სოპრანო, ბულგარეთი), ბოჟიდარ ნიკოლოვი (ტენორი, ბულგარეთი) ჩამოვიდნენ, რომლებიც, ასევე, ცნობილი პედაგოგები არიან. ფესტივალის ფარგლებში, საქართველოში პირველად, ორდღიანი საყოველთაო მასშტაბური მოსმენა გაიმართა. პედაგოგები ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდნენ მათ მიერვე შერჩეულ მომღერლებთან, ატარებდნენ ღია მასტერკლასებს, რომლებზეც მუსიკალური წრის წარმომადგენლები უსმენდნენ ახალბედა შემსრულებლებს, აკვირდებოდნენ მათ მეცადინეობას ოპერის მეტრებთან, რომლებიც ინგლისიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან ჩამოვიდნენ.

ფესტივალის ბოლო დღეს ვესელინა კასაროვამ „აჭარასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შესანიშნავი ხმების გარდა, იგი აქაური სტუმართმოყვარეობითაც მოიხიბლა. მადლიერებით მოიხსენია თამარ ივერი, საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა რომ მისცა და ასე ახლოს გააცნო აქაური ხალხი და კულტურა. თქვა, რომ ამ ფესტივალის დაარსებით თამარ ივერმა უდიდესი საქმე გააკეთა.

ფესტივალზე ბათუმს ეწვია ერევნის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი კონსტანტინე ორბელიანისა და ლევან ჯაგაევის დირიჟორობით. სწორედ ამ ორკესტრთან ერთად საზაფხულო თეატრში მასტერკლასებში მონაწილე მენტორების რჩეული ახალგაზრდებისა და მსოფლიო აღიარების მქონე ვარსკვლავების დუეტების დიდი გალაკონცერტი გაიმართა. ცნობილ საოპერო მომღერლებთან ერთად, ახალბედებს შესაძლებლობა მიეცათ, ფართო აუდიტორიის წინაშე გამოევლინათ თავიანთი ვოკალური შესაძლებლობებიმ დამწყები და უფროსი თაობის ვოკალისტების ერთობლივი კონცერტი დიდხანს ემახსოვრებათ ბათუმელებსა და მის სტუმრებს.

შეკრებილებს მიესალმა ქალბატონი თამარ ივერი, რომელმაც თითოეულ მონაწილეს მადლობა გადაუხადა მონაწილეობისთვის და წარმატებები უსურვა მათ.

გალაკონცერტი მართლაც გამორჩეული და დასამახსოვრებელი გახლდათ, ამიტომაც თითქმის შეუჩერებლივ გაისმოდა აღფრთოვანებული მაყურებლის მხურვალე ტაში. ერთ მონაწილეზე ოდნავ მეტხანს შევჩერდებით: ჩვენმა უბერებელმა ტენორმა თეიმურაზ გუგუშვილმა ბრწყინვალე ხმითა და გამორჩეული შესრულებით, როგორც ყოველთვის, მოხიბლა მსმენელი - დარბაზი მას ორჯერ წამოუდგა ფეხზე.

მაყურებელიც და კონცერტში მონაწილე მომღერლებიც ფორტეპიანოზე შესანიშნავი შესრულებით უდავოდ აღფრთოვანეს და-ძმამ - 8 წლის დემეტრე და 11 წლის ნატალია ბაქრაძეებმა, ასევე 14 წლის ბაჩი მიქელაძემ.

1 ოქტომბერს ფესტივალი ბრწყინვალე კონცერტით დაიხურა, რომელიც ბათუმის ბულვარში, კოლონადებთან გაიმართა. აქვე დამონტაჟებული სცენა და სპეციალურად ამ დღისთვის მოწყობილი „დარბაზი“ არაჩვეულებრივად შეერწყა ბულვარის გარემოს.

საზეიმო გალაკონცერტში სამი რეგიონის წარმატებული ტენორები - მიხეილ შეშაბერიძე (საქართველო), ერდემ ერდოღანი (თურქეთი), ლიპარიტ ავეტისიანი (სომხეთი) მონაწილეობდნენ, ასევე ერევნის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრი კონსტანტინე ორბელიანისა და ლევან ჯაგაევის დირიჟორობით. მართლაც, საუკეთესო ხმები მოვისმინეთ.

წვიმამ ერთგვარი კორექტივები შეიტანა საღამოში, თუმცა მისი გაფერმკრთალება ვერ შეძლო - შესანიშნავი იყო შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალ „ბათუმის რაფსოდიის“ შემაჯამებელი კონცერტი, რომელიც დაიხურა შედევრით - სამივე ტენორის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული კალაფის არიით პუჩინის ოპერიდან „ტურანდოტი“.

ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიას, ფესტივალის გენერალურ სპონსოროს - სამშენებლო კომპანია „ორბს“, კიდევ არაერთ მხარდამჭერსა და გვერდით მდგომს.

შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – მეათედ

30 სექტემბერს ბათუმის ხელოვნების ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც ჩვენი ქალაქი 8 ოქტომბრის ჩათვლით უმასპინძლებს. ფესტივალი ფონდ „ლირას“ ორგანიზებით ტარდება, რომელიც ცნობილმა პიანისტმა, იუნესკოს მშვიდობის არტისტმა, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძემ 2013 წელს დააარსა

ფესტივალის გახსნამდე ხელოვნების ცენტრის ფოიეში ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ამაზონის ტროპიკული ტყეების ფოტოგამოფენა მოეწყო. როგორც ცნობილია, ამაზონის ტყე და მდინარე ბიომრავალფეროვნების აკვანია, რომლის გარეშეც მსოფლიო ბევრად ღარიბი იქნებოდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, ასევე, მთლიანად ამაზონის რეგიონი თავისი ფლორითა და ფაუნით, ინდიელთა არტეფაქტებით, რომლებიც ნათლად გადმოსცემს მათ კულტურას. გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებელს სიტყვით მიმართა ბრაზილიის ელჩმა საქართველოში ოსვალდო ბიატო ჟუნიორიმ.

შემდეგ ყველამ დარბაზში გადაინაცვლა, სადაც ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა. გახსნამდე შეკრებილთ სიტყვით მიმართეს ფესტივალის ორგანიზატორმა ელისო ბოლქვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ბრაზილიის ელჩმა ოსვალდო ბიატო ჟუნიორიმ.

პირველ დღეს დვორჟაკის მეცხრე სიმფონიის მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურის შედევრი მაღალ ხარისხში შეასრულა ორკესტრმა, რომელიც დირიჟორმა დავით მუქერიამ სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნა. მას გუდნი ა. ემილსონმა უდირიჟორა. ბრწყინვალედ წარსდგა მსმენელის წინაშე ფლეიტის ვირტუოზი შემსრულებელი ჯუზეპე ნოვა.

ბათუმის შავი ზღვის რიგით მეათე - საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალი მსმენელს წელს განსაკუთრებულად მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს. ცნობილი ხელოვანები ჩვენს ქალაქს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ეწვივნენ.

პროგრამაში, გარდა შესანიშნავი კონცერტებისა, შეტანილია მასტერკლასები, რომლის დროსაც ნიჭიერ ახლგაზრდებს პროფესიონალები მოუსმენენ და ეჭვი არ გვეპარება, ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, ახალ ტალანტებს აღმოაჩენენ. დამწყები შემსრულებლები განსაკუთრებული ინტერესით ელოდებიან მაესტრო მიშელ სონის მასტერკლასებს.

კარგია, რომ ფესტივალში ახალგაზრდები მონაწილეობენ, რადგან თუ დიდი მუსიკოსები ვერ გახდებიან, კარგი მსმენელები უთუოდ დადგებიან. ფესტივალზე თავისი ადგილი უჭირავს საგუნდო მუსიკის მიმართულებას, რომელსაც ახალგაზრდა მუსიკოსი შიო აბრა ხელმძღვანელობს. ის სახელოვნებო განათლებაშიც ნაყოფიერად მოღვაწეობს.

ბათუმისადმი იუნესკოს დაინტერესება ქართული კულტურის პოპულარობას, ჩვენი ქალაქის პრესტიჟულობას უსვამს ხაზს. ის, რომ ბათუმში ტარდება ასეთი მასშტაბის, სოლიდური სტატუსის მქონე ფესტივალი, ბათუმის მნიშვნელობას ამაღლებს. ფესტივალზე როგორც უცხოური, ასევე ქართული კლასიკური, ფოლკლორული მუსიკალური ნაწარმოებები იქნება წარმოდგენილი, წელს პირველად - საეტრადოც. ფესტივალზე სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ბავშვებს ერთად მოვუსმენთ. ფესტივალის მრავალფეროვანი პროგრამა ყველა გემოვნების მაყურებელს დააკმაყოფილებს.

- დიდი პატივია, რომ დღეს აქ ვიმყოფები ფესტივალის გახსნაზე და ვხედავ, რომ მუსიკა არის თქვენი ქვეყნის ძალიან ძლიერი ნაწილი. აღმოვაჩინე ქალაქი და ატმოსფრო ასეთი დაუვიწყარი ტრადიციით, შესაბამისად, გამიხარდა, რომ იტალიური მუსიკაც წარმოვაჩინეთ, - გვითხრა ფლეიტისტმა ჯუზეპე ნოვამ.

- ჩვენი ქალაქი წელს მეათედ მასპინძლობს ამ არაჩვეულებრივ ფესტივალს და მინდა, ხელოვნების სფეროში მოღვაწე თითოეულ ადამიანს მივულოცო ეს. დარწმუნებული ვარ, რომ წელს განსხვავებული ფესტივალი იქნება, მეტად საინტერესო, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ ვისაუბროთ იმაზე, როგორ აერთიანებს ხელოვნება ადამიანებს, სხვადასხვა ერს, სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსებს, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

ელისო ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა ფესტივალის მხარდამჭერებს, მათ შორის საქართველოს მთავრობას, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის მთავრობას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიას, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს.

მეორე დღეს მსმენელის წინაშე წარსდგა პიანისტი ანა ფედოროვა, ორკესტრს უდირიჟორა მაესტრო პიეტრო ბორგონოვომ. მათი შესრულება მსმენელმა მხურვალე ოვაციით შეაფასა.

ფესტივალის ფარგლებში 4 ოქტომბერს დაიწყო და დღეს დამთავრდება აღიარებულ მუსიკოს მიშელ სონის მასტერკლასები ახალგაზრდა პიანისტებისათვის. გუშინ ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა, ასევე, ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკის კონცერტი, ხოლო ბათუმის მუსიკალურ ცენტრში - ზვიად ბოლქვაძის მუსიკალური მონოდრამა „მედეას ვნებანი“.

გვერდი მოამზადა
მანანა ძიძიშვილმა